# სარბიელი

სპორტული გაზეთი   გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან   სამშაბათი, 27 იანვარი 1998 №11 (546)   ფასი 40 თეთრი



## უახალკაცოდ

გუშინ, მოსკოვში, ნოდარ ახალკაცი ფიფას გენერალურ მდივანს, იოზეფ ბლატერს უნდა შეხვედროდა. საქმიანი საუბარი ქართული ფეხბურთის მომავალს წაადგებოდა. სწორედ ამიტომ ნაჩქარევად გაემგზავრა კვირას თბილისიდან. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი დღეს უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ...

ჩვეულებისამებრ, მივლინებაში მიმავალი მუდამ თანამგზავრს იახლებდა. ამჯერად მარტომ ირჩია წასვლა. ალბათ, ესეც ბედისწერა იყო. „ვნუკოვოს" აეროპორტში მანქანა ელოდა. თვითმფრინავშივე ცუდად უგრძნია თავი. ტრაპიდან ჩამოსული ფერწასული და სულ მთლად გაოფლილი ყოფილა. მიუხედავად ამისა, გულს არ შეპუებია. განსვენებულისთვის შიში და უკანდახევა უცხო გახლდათ. გადაივლისო, უფიქრია. დამხვდურები მოუკითხავს, თავისებურად გახუმრებია. მანქანას გეზი დედაქალაქისკენ აუღია. აეროპორტის ავტოინსპექციის გამშვებ პუნქტს გასცილებია თუ არა, ერთი ღრმად ამოუსუნთქავს და...

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის გარდაცვალების ამბავი უსწრაფესად მოედო მთელ სპორტულ მსოფლიოს. თბილისშიც გუშინწინვე შეიტყვეს. გუშინ იამანიძის 5-ში მართლაც რომ სამგლოვიარო ატმოსფერო დაგვხვდა. დაღვრემილი სახეები, ცრემლიანი თვალები. ვინ-ვინ და ფედერაციის თანამშრომლებმა ყველაზე კარგად უწყიან, ვინ და როგორ დაკარგეს. ამ ხალხს პატრონი და დედაბოძი გამოეცალა. ამას ყველა აღიარებდა. ამიტომაც ცვლიდა ერთმანეთს მოგონებები. იხსენებდნენ 13 მაისს, პირველი ეროვნული ჩემპიონატის პირველ მატჩს. იხსენებდნენ უშუალოდ ახალკაცის ხელმძღვანელობით გატარებულ დღეებს და ამ გახსენებისას მათ სახეებს ოდნავ შესამჩნევი ღიმილი გადაურბენდა, რომელსაც წამის შემდეგ კვლავ ცრემლი ცვლიდა.

— ჩვენ ჯერაც ვერ მივმხვდარვართ, რა კაცი დავკარგეთ. ალბათ, ამას მხოლოდ რამდენიმე კვირაში გავაცნობიერებთო — იტყვის ფედერაციის ერთ-ერთი თანამშრომელი. ფედერაციის ყველა პროექტი, ყველა დაგეგმილი შეხვედრა დროებით გადაიდო. ფედერაცია გლოვობს. აწყობილი მექანიზმი ჩერდება. თანამშრომლები კითხვით სავსე თვალებით შესცქერიან ერთმანეთს. არავინ იცის, რა იქნება.

— ჩვენ ახალკაცის ავტორიტეტი ჯეროვნად ვერ შევაფასეთ. საქართველოში ვერც ერთმა გუნდმა ვერ გამოიყენა იგი. ეს რომ შეგვძლებოდა, ჩვენი ფეხბურთი გაცილებით მაღალ დონეზე იქნებოდა. ახლა, ვინ იცის, გვეღირსება კიდევ ასეთი კაციო — ამბობდნენ მეორე კუთხეში.

დრო კი მიდის...

ფედერაციის თანამშრომლები, ახალკაცის ხელმძღვანელობით ნათამაშევი ვეტერანი დინამოელები მანქანებში სხდებიან და პრეზიდენტის ოჯახს მიეშურებიან. რამდენი რამ არის მოსაფიქრებელ-გადასაწყვეტი.



ნოდარ ახალკაცი და მისი უახლოესი თანამოსაქმე დავით კვინიკაძე

ცხედარს მოსკოვში პატრონობა არ მოაკლდებოდა. იქ მყოფი ქართველობა ფეხზე დამდგარა. ბიზნესმენები, პასუხისმგებელი პირები, იქ მყოფი საქართველოს ჩემპიონის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია და მთელი „დინამო". განსვენებული გუშინ, ღამის 9 საათზე, მოსკოვი-თბილისის ავიარეისით ჩამოასვენეს.

გუშინ ფედერაციაში დიდი ბჭობა იყო. სამთავრობო კომისია უნდა შეიქმნას თუ არა, პანთეონში დაკრძალონ თუ უბრალო მოკვდავთა სასაფლაოზე. დაკრძალვა ხომ შაბათისთვისაა დანიშნული.

თითქოს ადრევე გრძნობდაო, ფედერაციაში ატეხილ დავას უმალ მოეღო ბოლო. განსვენებულს ადრევე დაუბარებია, არავითარი სამთავრობო კომისია, არავითარი პანთეონი, პირდაპირ სახლიდან გამასვენეთ და უბრალო სასაფლაოზე დამკრძალეთო. როგორც ამბობენ, ნოდარ ახალკაცს ადრე გარდაცვლილი დედის გვერდით მიუჩენენ სამუდამო ადგილსამყოფელს.

ფეხბურთის ფედერაციაში კი ისევ ტირიან.

— წავიდა ქართული ფეხბურთის უდიდესი შემოქმედი. ისტორია გაჩერდა. იმის ნახევარი რომ შეგვძლებოდა, რასაც ის აკეთებდა, საათივით ავაწყობდით საქმესო — იტყვიან მესამენი.

— დიდი კაცი იყო და გამარჯვებული წავიდა ამ ქვეყნიდან. მისი დაჩოქება ვერავინ შეძლო, მიუხედავად იმისა, ერი და ბერი ებრძოდაო — ამას უკვე ხმამაღლა აცხადებენ. იგი წელგამართული მიაბიჯებდა დასახული მიზნისკენ, მისი შეჩერება ვერავინ შეძლო, მხოლოდ ჯანმრთელობამ უმტყუნა, თან რა დროს, როცა ყველა გასაჭირი ჩავლილი გვეგონაო, ამოიოხრებენ მეოთხენი.

გუშინ ფეხბურთის ფედერაციის შელანძღული შენობაც მთლად მოქუფრულიყო. ალბათ, მომხდარის ფონზე გვეჩვენებოდა, თითქოს კედლებიც კი დაღონებულიყვნენ...

## დემეტრაძის პირველი ფეიენოორდული გოლი

გულშემატკივარს კარგად მოეხსენება, რომ ამ ცოტა ხნის წინ დინამოელი გიორგი დემეტრაძე ჰოლანდიურ „ფეიენოორდში" ჩაირიცხა, ორიოდ დღეში კი ლეო ბეენჰაკერის ბიჭები ჰოლანდიის ჩემპიონატის მეორე წრისთვის მოსამზადებლად კუნძულ სიცილიაზე გაემგზავრნენ. როგორც შევიტყვეთ, იტალიაში ჩვენებურს გერმანული „ჰამბურგის" წინააღმდეგ 90 წუთი უთამაშია და მეტად შედეგიანადაც, ერთი გოლი გაუტანია და მისი წაქცევისთვის არბიტრს გერმანელთა კარში პენალტიც დაუნიშნავს. თუმცა, ვერც დამრტყმელს უხეირია და ვერც „ფეიენოორდს", რომელსაც 2:4 წაუგია.

## ამ ესპანელს არავინ ელოდა



ორშაბათს მელბურნში, ავსტრალიის ღია პირველობაზე დარჩენილ მეოთხედფინალისტთა ვინაობაც გაირკვა. ზაფხულის წვიმებით გაბეზრებული „ოუფენი" გუშინ ესპანელმა ალბერტო ბერასატეგიმ ერთხელაც გააოცა, როდესაც მასპინძლების ყოჩს — პატრიკ რაფტერს გამარჯვების პრეტენდენტად შერაცხული კიდევ ერთი ბობოლა — მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი ანდრე აგასი მიაყოლა ტურნირის საუკეთესო მატჩად შერაცხულ ხუთსეტიან ორთაბრძოლაში.

იხილეთ მეშვიდე გვერდი



ფავორიტებზე მონადირე ალბერტო ბერასატეგი

## ხვალ პარიზში ხალხი ნავებს შეესევა

### მენავეები კი გვარიან ფულს იშოვნიან

ამის მიზეზი გახლავთ საფრანგეთისა და ესპანეთის საფეხბურთო ნაკრებთა შეხვედრა, რომელიც მოახლოებული მსოფლიო ჩემპიონატისთვის საგანგებოდ აშენებულ 80 ათასიან „სტად დე ფრანსზე" გაიმართება. ნავებსა და ფეხბურთს ის კავშირი აქვს, რომ „სტად დე ფრანსი" პარიზის გარეუბან სენტ დენისშია აშენებული, იქ მანქანით მოხვედრა კი პრობლემათა პრობლემას წარმოადგენს. ცხადია, სარბიელამდე საავტომობილო გზა მიდის, მაგრამ საკმარისია, მასზე ბევრმა მანქანამ მოიყაროს თავი, რომ მოძრაობა იხერგება. ამიტომ გულშემატკივართა უდიდეს ნაწილს მანქანების შინ დატოვება და „სტად დე ფრანსის" საზეიმო გახსნაზე მეტროთი ან საგარეუბნო მატარებლით მისვლა მოუწევს, ხოლო მათ, ვინც მეტროში ჩასვლას დაიზარებს, ნავში მოუწევთ ჩაჯდომა. ხვალ შუადღისთვის სანაოსნო გადაადგილების საზღაური 10 ან 20 ათას ფრანკამდე (1670 ან 3333 დოლარი) გაზრდას ელიან. შესაბამის ფირმებს კატერები და მათზე ვახშამიც კი აქვთ მომზადებული. ცენტრალური პარიზიდან სენტ დენისამდე ნავით ჩასვლას ორი საათი დასჭირდება, მაგრამ სანახაობის მსურველთ სულ ვერჩასვლას ეს უნდა ერჩიოთ.

უფრო ვრცლად „სტად დე ფრანსის" გახსნისა და მისი პრობლემების შესახებ მე-4 გვერდზე გესაუბრებით.

**სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!**

ნაგანოს ზამთრის ოლიმპიადასთან დაკავშირებით პარასკევს, 30 იანვარს 15 საათზე ოლიმპიურ კომიტეტში პრესკონფერენციას გამართავს სეოკ-ის პრეზიდენტი ჯანო ბაგრატიონი.

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია დიდად წუხს
**ნოდარ ახალკაცის**
გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს

ოთხი წლის წინ დიღმის მრავლისმნახველი ბაზის კარი მორიდებულად შეაღო 15 წლის სრულიად უცნობმა ფეხბურთელმა — მაშინ კახი კალაძისთვის თბილისის „დინამო“ საოცნებო გუნდი იყო.

გავიდა დრო, მორიდებულ ახალგაზრდას თავდაჯერება შეემატა, მუხლი გაუმაგრდა, დიდი ნებისყოფა გამოიჩინა და ყოველდღიური, თითქოს მომაბეზრებელი, ვარჯიშებით თადარიგის მოთამაშიდან ძირითადის შეუცვლელ წევრად იქცა, შემდეგ კი ყიფიანმა ეროვნულ ნაკრებშიც გაუხსნა გზა. სწორედ მაშინ დაიწყო ახალი ერა კალაძისთვის, გადამწყვეტი კი 10 ოქტომბერი გახლდათ, როდესაც ბედის გამგებელმა დინამოელს მთელი ცხოვრების მანძილზე დასამახსოვრებელი საღამო აჩუქა, საღამო, რომელმაც ასერიგად დააახლოვა ოცნებასთან...

...თბილისში იტალიასთან შეხვედრისას, მეტოქეებს ჯერ სალამიც არ დაემთავრებინათ, ეროვნული გუნდის კაპიტანი, გამოცდილი კახი ცხადაძე რომ დაშავდა. ყიფიანმა მის ნაცვლად მეორე კახი, მაგრამ სანაკრებო დონეზე მეტად გამოუცდელი კალაძე შეიყვანა, თანაც პირდაპირ ვიერის მიუჩინა „იუვენტუსიდან“ მადრიდის „ატლეტიკოში“ გვარიან თანხად გაყიდული მრისხანე თავდამსხმელს. ეს 19 წლის ქართველისთვის დიდი გამოცდა იყო, რომელიც მან მშვენივრად ჩააბარა. ამ შეხვედრის ჩანაწერი კიევის „დინამოს“ მწვრთნელ ვალერი ლობანოვსკის ჩაუვარდა ხელთ და ვიერის შემბოჭველის გადაბირება მოიწადინა. ჩვენი „დინამოს“ ხელმძღვანელებს ამის გაგონებაც არ სურდათ — ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა გულში ამოეჭრათ, საამისოდ გუნდის გაძლიერებას ლამობდნენ და ამ დროს კალაძე მათ დაუკითხავად კიევს გაემურა. უკრაინული და ქართული სეხნია კლუბები კინაღამ ერთმანეთს გადაეკიდნენ, მაგრამ ამ ერთი კვირის წინ კიევში გუნდების ხელმძღვანელთა შეხვედრამ უსიამოვნებას ბოლო მოუღო — კალაძე ლობანოვსკისთან დარჩა.

ამჟამად კახი კალაძე კიეველებთან ერთად თანამეგობრობის თასზე თამაშობს. ჩვენ სწორედ მოსკოვში შევეხმიანეთ.

# კახა კალაძე: ლობანოვსკი ტაქტიანი პიროვნებაა



კახა კალაძე ბრძოლას არასდროს გაქცევია

**— კახი, უპრეცედენტო შემთხვევაა, გუნდის ხელმძღვანელთა დაუკითხავად სხვაგან წახვედი...**

— იცით, მთლად მასეც არ ყოფილა. მე რომ კიევში მსურდა თამაში, ეს „დინამოს“ ხელმძღვანელებმა იცოდნენ. მაგრამ თავად ჟორდანია თბილისში არ იყო და მეც წასვლა ვამჯობინე. ყოველ შემთხვევაში, ახლა საქმე მოგვარდა, კიევის „დინამოში“ ჩავირიცხე და გუნდის ხელმძღვანელებსაც ჩემთან პრეტენზია აღარ გააჩნიათ.

**— გუნდთან კონტრაქტი გააფორმე?**

— ამ მცირე ხნის წინ ჟორდანია და შოთაძე კიევში სურკისს რომ მოელაპარაკნენ, საქმე მოგვარდა და სამწლიან კონტრაქტს მოვაწერე ხელი.

**— გუნდს როგორ შეეგუე? ლობანოვსკის ვარჯიშებზე ლეგენდები დადის, არაადამიანურად ტვირთავს მოთამაშეებსო. მართლა ასეა?**

— რა თქმა უნდა, ლობანოვსკის ვარჯიშებს უმალ ვერ შეეგუები, ძნელია, რაღა დავმალო, მეც თავიდან ჩვეულებრივზე მეტად ვიღლებოდი, მაგრამ იმ პერიოდისთვის უვარჯიშებელიც ვიყავი. მერე და მერე დატვირთვებს მივეჩვიე, თანდათან გამიადვილდა, გერმანიის შეკრებაზე კი სხვა თანაკლუბელების მსგავსად თავს სავსებით ნორმალურად ვგრძნობდი.

**— ლობანოვსკიზე სხვაგვარი ლეგენდაც არსებობს, მეტად მკაცრი კაციაო. მართლაც ასეა?**

— მკაცრია, მაგრამ მეტად სამართლიანი. ეს ჩემს თავზე გამოვცადე. თანაც, რაც უფრო ახლოს ვეცნობი, მით უფრო ვრწმუნდები, რომ ქართველები უყვარს. ვერ იტანს ისეთ მოთამაშეს, დავალებას რომ არ უსრულებს. ცხოვრებაში კი ისეთი მკაცრი არ არის, როგორც მოედანზეა. პირიქით, ჩვეულებრივი და მშვიდი პიროვნებაა.

**— მისი ვარჯიშები რითია გამორჩეული?**

— იმ შედეგით, რომელსაც ჩემ თავზე ვგრძნობ. მას თითოეული ვარჯიში გათვლილი აქვს. ამის შედეგად ფეხბურთელი შესაძლებლობის მაქსიმუმს ავლენს. ყოველდღიურად სამჯერადი ვარჯიშები გვაქვს, კროსს გვარბენინებს და მოედანზე კი აბსოლუტურად ყველა მოთამაშეს მეტოქეზე პერსონალურ თამაშს ავალებს.

**— როგორც ვიცი, საკონტროლო შეხვედრებზე და ახლაც, თანამეგობრობის თასზე, მოედანზე ძირითადად მეორე ტაიმში გიშვებს. ჯერ კიდევ ვერ მოერგე კიეველებს, თუ სხვა რამ მიზეზია?**

— არა, ეს არაფერ შუაშია. იყო თამაშები, შემადგენლობაში თავიდანვე რომ მაყენებდა. ახლა ლობანოვსკი ექსპერიმენტებს ატარებს. მაგალითად, შევჩენკო, კალიტვინცევი და რებროვიც მეორე ნახევარში თამაშობენ. ასე რომ, ვერ ვიტყვი, გუნდს ვერ მოვერგე-მეთქი. პირიქით, ვფიქრობ კიეველთა თამაშის სტილს, უმტკივნეულოდ ავუღე ალღო. ტრაბახში არ ჩამითვალოთ და ვთვლი, რომ ახლახან „ვერდერის“ თავდამსხმელ ბრუნო ლაბადიას წინააღმდეგ ძალიან კარგადაც ვითამაშე.

**— ამ შეხვედრის შესახებ იქნებ უფრო ვრცლად გვიამბო...**

— კიევის „დინამო“ ძლიერი გუნდია, მისი თითოეული წევრი ისე კარგად არის მომზადებული, რომ მათ გვერდით თამაში ძალიან მიადვილდება. მათთვის უძლეველი გუნდი არ არსებობს, ნებისმიერ მეტოქესთან თავგამოდებით იბრძვიან და არც გამკვირვებია, „ვერდერს“ რომ ვძლიეთ. მართალია, ბუნდესლიგის გუნდი იოლად დასაძლევი არ არის, მაგრამ ლობანოვსკის ბიჭებს ეს ძალუძთ. მათი ფიზიკით და ნიჭით ბევრის მიღწევა შეიძლება.

**— რომელიმე თანაგუნდელთან დაახლოება თუ მოასწარი?**

— სხვათა შორის, ძალზედ თბილად მიმიღეს, მეც ამის გამო გამიადვილდა გუნდთან შეგუება, მაგრამ განსაკუთრებით შევჩენკოს და რებროვს დავუახლოვდი, ესენი ყველაზე უშუალო და გულღია ადამიანები არიან, თანაც უცოლოები, საერთო ინტერესებს უფრო ვპოულობთ.

**— ჩვენთან მოთამაშეები ზოგჯერ თავს განტვირთვის უფლებას აძლევენ, მცირეოდენი ალკოჰოლის მიღებაზეც არ ამბობენ უარს, ლობანოვსკი კი ამის გამო ფეხბურთელს ელევა...**

— აქ ყველამ იცის, პროფესიონალს რა მოეთხოვება, როდის დალიოს და როდის არა. მაგრამ ისეც არ არის, რომ ვინმეს სმის მავნებლობაზე შეხსენება დასჭირდეს. უბრალოდ, ლობანოვსკი დისციპლინის დამრღვევებს ვერ იტანს და გუნდს ასეთებს არც აკარებს.

**— პირადად ლობანოვსკისთან საუბარი თუ გქონია?**

— კი როგორ არა, თანაც არაერთხელ. მაგალითად, თანამეგობრობის თასის პირველი შეხვედრის შემდეგ, მოედანზე მეორე ტაიმში გაველი, უკანა მცველი ვიყავი და ურიგოდ არ მითამაშია, ძგიდეებშიც ჩავერთე და კარშიც დავარტყი. მატჩის შემდეგ ლობანოვსკი მესაუბრა, კარგიც მითხრა და შეცდომებზეც მიმითითა. მაგრამ სათქმელს ტაქტიანად ამბობს, გული კი არ გაგიტყდება, პირიქით, სტიმულს გაძლევს, რომ შემდეგ შეხვედრაში უკეთ ითამაშო.

**— მოკლედ, მართლა საოცნებო გუნდში მოხვდი, ასე ჩავთვალოთ?**

— დღეისათვის ჩემთვის ყველაზე უკეთესი სწორედ კიევის „დინამოში“ ჩარიცხვა იყო. ჯერ მხოლოდ 19 წლის ვარ და იმედი მაქვს, სამ წელიწადში ისე გავიზრდები, რომ არც ერთ გუნდში გადასვლის არ შემეშინდება. ვთქვათ, ინგლისის, ანაც იტალიის წამყვან გუნდებში თამაში ურიგო არ იქნება, მაგრამ, ვიმეორებ, ჩემი ასაკის ფეხბურთელისთვის კიევში თამაში სასარგებლოა. ლობანოვსკის გუნდმა თავისი სიძლიერე „ბარსასთან“ გატანილი შვიდი უპასუხო გოლითაც დაამტკიცა.

მერაბ მამულაშვილი

# მორკინალი მძიმე დღეშია

ამასწინათ თბილისის „მორკინალის“ ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა იმედიანად გვითხრა, გუნდის გარშემო სერიოზული ძალები აპირებენ გაერთიანებას და „მორკინალი“ ფინანსურად და სპორტული თვალსაზრისით უნდა გაძლიერდესო. მაგრამ სანამ მოლაპარაკებები გაერთიანების შესახებ საბოლოოდ დასრულდება, გუნდი მძიმე მდგომარეობაშია: თბილისელთა მწვრთნელის, ელგუჯა გუგუშვილის თქმით, პირველ წრეში საგანაცხადო სიაში შეტანილი 22 მოთამაშიდან ამჟამად მისი ხელმძღვანელობით მხოლოდ 3 (!) ვარჯიშობს. თუმცა მწვრთნელი იმედს არ კარგავს, რომ წასულის მსურველთაგან ზოგს მაინც დაიბრუნებს და დაბალი ლიგის გუნდებში დაწუნებულ მოთამაშეებს საჭირო დონეზე გაწვრთნის. ამის გამო იგი ვითარებას საგანგაშოს არ უწოდებს და თვლის, რომ მაინც მოახერხებს მეორე წრის ხეირიანად დამთავრებას. თან ზემოხსენებული მოლაპარაკების წარმატებით დასრულებას ელის, იქნებ ვითარება სასიკეთოდ შეიცვალოსო.

ამასობაში ბულგარეთის უმაღლესი დივიზიონის „ბეროედან“ წამოსულმა მეკარე სერგო ჭურაძემ სწორედ თავის ყოფილ გუნდში, „მორკინალში“ ამჯობინა თამაში. მაგრამ საეჭვოა, მარტო მისმა დამატებამ თბილისელებს შვება მოჰგვაროს. თუ მოთამაშეთა წასვლა ასეთი ტემპით გაგრძელდა, მეორე წრეში თავად გუგუშვილს მოუწევს მოედანზე გასვლა. მაგრამ ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. ვინ იცის, იქნებ პროფესორი მწვრთნელის დღევანდელი ჭმუნვა ხვალ სასიკეთოდ შეიცვალოს.

# რა ელის მარგვეთს?

ზესტაფონის „მარგვეთს“ მრავალი დროება გამოუვლია. გუნდს სასიხარულო დღეებიც უნახავს და გულგატეხილიც ხშირად დარჩენილა. თითქოს არა უჭირდათ, მაგრამ მერე ყველაფერი უკუღმა დაუტრიალდათ. ამჟამად შექმნილი ფინანსური კრიზისი დღითიდღე ღრმავდება და გუნდი სადაა უფსკრულის პირას აღმოჩნდება...

პირველი წრის დამთავრების შემდეგ გუნდი სხვადასხვა მიზეზით თორმეტმა ფეხბურთელმა დატოვა. მათ სანაცვლოდ „მარგვეთის“ პრეზიდენტს, ვასილ ხაჭაპურიძეს რამდენიმე ფეხბურთელის დამატება განუზრახავს, მაგრამ ჯერჯერობით ვერ განუხორციელებია. ჯერაც უცნობია იმ ფეხბურთელთა ბედი, რომლებიც ამ დროისთვის გუნდში ირიცხებიან. მათ პირველი წრის დავალიანების მხოლოდ ნაწილი გაუსტუმრეს და რა დარჩენიათ, მოთმინებით ელიან უკეთეს მერმისს. ალბათ, მეორე წრეში ზესტაფონელები მოახერხებენ თერთმეტი კაცის შეკრებას, მაგრამ რამდენი იქნება მათში ფეხბურთელი, ძნელი სათქმელი გახლავთ. ანაც, ვინ წავა ისეთ გუნდში საწვალებლად, რომელსაც ცალი ფეხი უკვე მეორე ჯგუფში აქვს და შაურიც არ მოეძევება.

ალბათ, მალე „მარგვეთის“ წინაშე მთავარი მწვრთნელის პრობლემაც წამოიჭრება. ზაურ ჩუბინიძეს, მისივე თქმით, ასეთ პირობებში მუშაობა ნამდვილად არ ძალუძს. აქედან გამომდინარე, გუნდი არც შეკრებილა და ამ მოკლე ხანში არც არის მოსალოდნელი. მოკლედ, ზესტაფონელები მწვრთნელსა და ფეხბურთელებს ეძებენ, რომლებიც, ფაქტობრივად, ცარიელი ენთუზიაზმის ამარა გაირჯებიან. ასეთები ჩვენ არ გვეგულება, იქნებ სხვები დაეხმარნონ.

## ფეხბურთის რუკასთან



**ბრაზილიის** ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონის მორიგი ტიტული მოიპოვა, ოღონდ ამჯერად პლაჟის ფეხბურთში. რიო დე ჟანეიროს პლაჟებზე გამართული ტურნირის ფინალამდე მასპინძლებმა ოთხი მეტოქე ჩამოიშორეს, ფინალში კი ფრანგებს სძლიეს 9:2. მესამე ადგილისთვის მატჩში ურუგვაიმ 6:3 პერუ დაამარცხა.

**მოზამბიკის** ნაკრებმა კოსაფა კასლის თასის გათამაშების მატჩში ბოტსვანას 2:1 მოუგო. ბოტსვანელები მოლვატნავას გოლის წყალობით იგებდნენ, მაგრამ 82-ჯერ ტიკო-ტიკომ გააყაიმა, მერე კი ეველინომ გადამწყვეტი გოლი გაიტანა. ამ მოგებით მოზამბიკი ტურნირის ხუთგუნდიან ფინალურ ჯგუფში გავიდა, სადაც მის გარდა ზამბია, ზიმბაბვე და ნამიბია არიან. კიდევ ერთ ფინალისტს ანგოლა — სვაზილენდის მატჩი გაარკვევს.

**ინგლისის** ნაკრების და „მანჩესტერ იუნაიტედის“ ვარსკვლავი დევიდ ბექემი პოპულარული „სფაის გერლზის“ ერთ-ერთ მომღერალ ვიქტორია ადამსზე დაინიშნა. მიუხედავად ნიშნობისა, ისინი ქორწინებას დაახლოებით ერთი წელი მაინც არ აპირებენ, რადგან ბექემს ერთობ გადატვირთული საფეხბურთო კალენდარი აქვს, ადამსს კი მსოფლიო ტურნე ელის.

**პორტუგალიელი** პაულო ფუტრე, რომელიც რამდენიმე დღით ბრაზილიაში იმყოფებოდა და „სანტოსში“, ანაც „პორტუგეზაში“ გადასვლას ცდილობდა, გუშინ მადრიდში, „ატლეტიკოს“ ბაზაზე დაბრუნდა. ნაკრებში 44-ჯერ ნათამაშევ ფუტრეს, რომელიც 1987-93 წლებში უკვე იცავდა „ატლეტიკოს“ ღირსებას, კლუბში ხელმეორე დაბრუნებისას არ გაუმართლა და ამიტომაც ცდილობდა გუნდიდან გადასვლას.

**საფრანგეთში** 28 იანვრიდან პირველი თებერვლის ჩათვლით თასის გათამაშებები გაიმართება. ქვეყნის თასის პირველი წრის ერთადერთ მატჩში 28 იანვარს „მონპელიე“ და მეხუთე დივიზიონელი „რეიმსი“ შეხვდებიან, შემდეგ კი გუნდები ლიგის თასის მეორე წრეში იბურთავებენ. 30 იანვარს ბორდო — ლე მანსს (II დივიზიონი) შეხვდება, 31-ში მარტიგი (II) — მეცს, სოშო (II) — კანს, ლანსი — ნიორს (II), მარსელი — ნანსის (II), ოსერი — ტულუზს. მეორე წრის კიდევ ორი მატჩი 1 თებერვალს გაიმართება — პოტიე (III) — ლე ავრს, ხოლო პსჟ — მონპელიეს დაუპირისპირდება.

**იუგოსლავიის** ნაკრები 28 იანვარს ტუნისს ეთამაშება ამხანაგურად, თუმცა, სლობოდან ზანტრაჩის გუნდს გუშინ იტალიის სერია A-ს „ატალანტაში“ მოთამაშე ლუბიშა დუნდერსკი გამოაკლდა. მან ტრავმა ჩემპიონატის ბოლო მატჩში მიიღო.

**ფრანგული** „სტრასბურიდან“ გერმანულ „კარლსრუეში“ თვის დასაწყისში გადასულმა დევიდ ზიტელიმ გუშინ ვარჯიშისას მარჯვენა მუხლის ტრავმა მიიღო და დაახლოებით ორი კვირა ვერ ითამაშებს. 29 წლის ზიტელიმ „კარლსრუესთან“ ორწლინახევრიან კონტრაქტს მოაწერა ხელი და დებიუტს ლევერკუზენელებთან მატჩში ელოდებოდა, მაგრამ მისი თამაში დროებით გადაიდო.

**ესპანეთის** „ბარსელონაში“ ცვლილებებია მოსალოდნელი. ვან გაალი თანამემამულე მცველების — უინსტონ ბოგარდის და მიხაელ რაიციგერის გადაბირების შემდეგ პორტუგალიელ ფერნანდო კოუტუს მაინცდამაინც არ წყალობს და ამ უკანასკნელსაც შინ დაბრუნება გადაუწყვეტია. პორტუგალიის ნაკრებში 45-ჯერ ნათამაშევ კოუტუს სანაცვლოდ ლისაბონის „ბენფიკა“ კატალონიელებს 5,5 მილიონ დოლარს სთავაზობს. 28 წლის კოუტუს ტრანსფერი, ალბათ, მაქსიმუმ ორ კვირაში გასრულდება, რადგან ესპანური გაზეთების ცნობით, ფეხბურთელსა და „ბენფიკას“ შორის კონტრაქტის პირობები შეთანხმებული ყოფილა. „ბარსელონა“ გაყიდვას აპირებს, მაგრამ ყიდვასაც ეშურება. ამ დღეებში გუნდის ტრანსფერების მეთვალყურე ბობი რობსონი საფრანგეთის ჩემპიონატის მატჩს ესწრებოდა „მონაკოსა“ და „მონპელიეს“ შორის. რობსონს თვალი მონაკოელთა ახალგაზრდა თავდამსხმელ ტიერი ანრისთვის დაუდგამს.

**ესპანური** ზაზეთების ცნობით, „რეალმა“ ჟუნიორ ბაიანოს სანაცვლოდ 20 მილიონი დოლარი შესთავაზა ბრაზილიურ „ფლამენგოს“. 27 წლის ბაიანომ ამ ბოლო ხანებში მყარად დაიმკვიდრა ადგილი ნაკრების შემადგენლობაში და ევროპის უძლიერესი გუნდების თავკაცთა ყურადღების არეალშიც მოექცა. „რეალის“ გარდა ბაიანოს გადაბირებას მადრიდის „ატლეტიკო“ და „ბარსელონა“ ცდილობდნენ.

**თურქეთის** პოლიციამ „გალათასარაის“ 114 გულშემატკივარი დააკავა, რომლებიც გუნდს „ბურსასთან“ მატჩში შეიარაღებულნი მიჰყვებოდნენ წინ. სამართალდამცავებმა ფანებს 121 დანა და ხელკეტი ჩამოართვეს.

**ესპანეთის** ნაკრების მწვრთნელმა ხავიერ კლემენტემ ხვალ პარიზში, „სენ დენის“ სტადიონის გახსნის მატჩში, მასპინძლებთან სათამაშოდ გუნდში პირველად იხმო „ბეტისის“ ნახევარმცველი ფერნანდო სანჩესი. 26 წლის ფეხბურთელი ადრე მადრიდის „რეალის“ მეორე გუნდში თამაშობდა.

**ბრაზილიის** უდიდესმა ტელევიზიამ „რედე გლობომ“ ქვეყნის სპორტის მინისტრ პელეს კონტრაქტი გაუფორმა — მსოფლიოს ერთადერთი სამგზის ჩემპიონი ფეხბურთელი საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატის დროს ტურნირის ერთ-ერთი კომენტატორი იქნება. პელე სპორტის მინისტრია, მაგრამ ბრაზილიის კონსტიტუცია კრძალავს ხელისუფალთ სხვა საქმიანობით დაკავებას, ამიტომაც იგი თანამდებობიდან დროებით გადადგება, ტურნირის დასრულების შემდეგ კი კვლავ მინისტრი გახდება. საამისოდ ფეხბურთის მეფეს ბრაზილიის პრეზიდენტის ფერნანდო ენრიკე კარდოზოს თანხმობა სჭირდება. პელე პრეზიდენტს ამ დღეებში შეხვდება.

**გერმანული** „ლევერკუზენის“ თავდამსხმელი ულფ კირსტენი მოგეხსენებათ ცხრა კვირით იყო ქვეყნის საფეხბურთო კავშირის მიერ დისკვალიფიცირებული. დისკვალიფიკაციის მიზეზი გახლდათ ის, რომ ყოფილმა გდრელმა, დღეისათვის ბუნდესლიგის ბომბარდირთა სიის სათავეში მყოფმა, 14 გოლის ავტორმა კირსტენმა, 6 დეკემბერს სახეში იდაყვი უთავაზა უეფას თასის მფლობელს, „შალკეს“ მცველს თომას ლინკეს. „ლევერკუზენისა“ და „შალკეს“ ის თამაში უგოლოდ, 0:0 დასრულდა, კირსტენს კი ხულიგნობისთვის მოედნიდან სკამზე მოუხდა გადანაცვლება, მაგრამ დასჯილი ნაწილობრივ შეიწყალეს, ცხრა კვირიანი დისკვალიფიკაცია რვა კვირამდე შეუმცირეს. ამნისტიის შედეგად კირსტენს ნება ეძლევა 7 თებერვალს ბრემენის „ვერდერთან“ ითამაშოს. ადრეც ვწერდით, რომ დანაშაულის მომენტი არბიტრს არ შეუმჩნევია და თავდამსხმელი ტელეკამერებმა ამხილეს. ლინკეს ტუჩი გაუსკდა და საკაცით გაიყვანეს.

**ინგლისის** პირველი დივიზიონის კლუბმა „სანდერლენდმა“ გარიგება დაასრულა იტალიური სერია A-ს „სამპდორიასთან“. გარიგების მიზანი თავდამსხმელის, დანიელე დიკიოს შეძენა გახლდათ. „სანდერლენდის“ მწვრთნელმა პიტერ რიდმა 1,7 მილიონი დოლარი გაიღო და მოთამაშე, რომელიც „სამპდორიამდე“ კვლავ ინგლისში, ლონდონის „ქუინზ პარკ რეინჯერსში“ გამოდიოდა, ისევ ალბიონს დაუბრუნდა. „სამპდორიაში“ გადასვლას დიკიოსთვის ხეირი არ მოუტანია, ის სათადარიგოთა სკამზე იჯდა და შეჰყურებდა, როგორ ბურთაობდნენ იურგენ კლინსმანი და ვინჩენცო მონტელა. შემდეგ დიკიო გენუელებმა „ლეჩეს“ ასესხეს, სადაც ორ თამაშში სამი გოლი გაიტანა, მაგრამ ვერც ლეჩეში ცხოვრებას დაუდო გული. აღსანიშნავია, რომ მამით იტალიელი, დიკიო დაბადებით ლონდონელია. იგი „სანდერლენდში“ ჩასვლით კმაყოფილი ჩანს და ამბობს, რომ მოსწონს გუნდის ამბიცია, დაბრუნდეს პრემიერლიგაში, „სანდერლენდი“ დღეს პირველი დივიზიონის ცხრილში მეოთხე ადგილზეა.

**ინგლისის** ნაკრებისა და „მანჩესტერ იუნაიტედის“ ყოფილმა კაპიტანმა ბრაიან რობსონმა, რომელიც 1994 წლიდან „მიდლსბროს“ მოთამაშე მწვრთნელი იყო, 41 წლისამ ფეხბურთელის კარიერა დაასრულა.

## იტალია

XVII ტური

### იუვენტუსი 3:1 ატალანტა

იუვენტუსი: პერუცი, იულიანო, ფერარა, მონტერო, ტორიჩელი (დი ლივიო 46), ა. კონტე (დეშამპი 72), დევიდსი, დიმაში, ზიდანი, ინძაგი, დელ პიერო (პეკია 76)
ატალანტა: ფონტანა, ძენონი (ფოლიო 73), სოტილი, კარერა, რუსტიკო, ენგლარო (რეგონეზი 76), ბონაჩინა, მირკოვიჩი, გალო, სგრო, ლუკარელი (კაჩა 48)
1:0 ა. კონტე (65), 1:1 კაჩა (71), 2:1, 3:1 ზიდანი (72, 92)
53-ე წუთზე დელ პიერომ ვერ გაიტანა პენალტი.
გაფრთხილება: მონტერო, სოტილი, კარერა, რუსტიკო, ბონაჩინა, ლუკარელი

### ემპოლი 1:1 ინტერი

ემპოლი: როკატი, ფუსკო, დ. ბალდინი (ბეტელა 53), ბიანკონი, კრიბარი (ლუჩენტი 85), პანე, ფიკინი, ბონომი (ფლორიანჩიჩი 64), ტონეტო, კაპელინი, კ. ესპოზიტო
ინტერი: პალიუკა, სარტორი, ბერგომი, ვესტი, მორიერო (რეკობა 70), ვინტერი, სიმეონე, ძანეტი, ჯორკაეფი (მილანეზე 68), რონალდო, ბრანკა (სამორანო 56)
1:0 კ. ესპოზიტო (3), 1:1 რეკობა (81)
გაფრთხილება: დ. ბალდინი, პანე, ვინტერი, რეკობა

### უდინეზე 3:0 ვიჩენცა

უდინეზე: ტურჩი, ბერტოტო, კალორი, პიერინი, ჰელვეგი, ჯანიკედა (სტატუტო 60), ვალემი, ბაკინი, იორგენსენი (პოჯი 70), ბირჰოფი, ლოკატელი (ჟენო 80)
ვიჩენცა: ბრივიო, მ. კონტე (ძაული 62), ბელოტი, დიჩარა, კოკო, მენდესი, ამბროზინი, ვივიანი, ბეგეტო (დი კარლო 80), ლუიზო (ამბროზეტი 80), ოტერო
1:0, 2:0 ბირჰოფი (19, 36), 3:0 ლოკატელი (44)
გაფრთხილება: ჯანიკედა, მენდესი, ბეგეტო, ლუიზო

### ბრეშა 2:1 პარმა

ბრეშა: ჩერვონე, სავინო, ადანი, ბია, კოზმინსკი, ა. ფილიპინი, ე. ფილიპინი, დე პაოლა, ბანინი (კორადო 83), უბნერი, პირლო (დიანა 65)
პარმა: ბუფონი, ზე მარია, ტურამი, კანავარო, ბენარივო, სტანიჩი (მანიერო 74), ფიორე, დ. ბაჯო, ბლომკვისტი (კრიპა 46, ოლანდინი 85), კიეზა, კრესპო
1:0 უბნერი (15), 1:1 ფიორე (43), 2:1 უბნერი (60პ)
გაფრთხილება: დე პაოლა, უბნერი, ტურამი, კანავარო, კრიპა

### ბარი 2:0 ნაპოლი

ბარი: მანჩინი, სალა, ნეგროიზი, დე როსა, მანიგეტი (მარკოლინი 55), დე ასკენტისი, ვოლპი (ბრეშანი 81), ინგესონი, ძამბროტა, ალბაკი, გუერერო (ოლივარესი 59)
ნაპოლი: ტალიალატელა, კრასონი, ფ. ბალდინი, აიალა, სერჯო, როსიტო, გორეტი, ასანოვიჩი, ალტომარე (ალეგრი 77), ტურინი, პროტი
1:0 მარკოლინი (73), 2:0 სალა (94)
გაფრთხილება: სალა, მანიგეტი, გუერერო, სერჯო

### მილანი 0:2 ფიორენტინა

მილანი: ტაიბი, კარდონე (ციგე 59), კოსტაკურტა, დესაი (ა. ანდერსონი 79), მალდინი, ბა, ალბერტინი, ბობანი, ლეონარდო, განცი, კლუივერტი (დონადონი 46)
ფიორენტინა: ტოლდო, ფალკონე, ფირიკანო, პადალინო, კანჩელსკისი, კოისი, რუი კოშტა (ამორუზო 91), სერენა, მორფეო (ბიჯიკა 83), ბატისტუტა, ოლივეირა (ტაროცი 68)
0:1 ოლივეირა (2), 0:2 მორფეო (51)
გაფრთხილება: ალბერტინი, კოისი

### ლაციო 1:0 ბოლონია

ლაციო: მარკეჯანი, პანკარო, ნესტა, ნეგრო, შამოტი, რამბაუდი (მარკოლინი 77), ფუზერი (ლომპესი 93), ვენტურინი, გოტარდი, ნედვედი, მანჩინი
ბოლონია: სტერკელე, პარამატი, ტორიზი (პაგანინი 54), მანგონე, კარნაშალი, მაგონი, მაროკი, ტარანტინო, ნერვო (ფონტოლანი 62), კ. ანდერსონი, კოლივანოვი (რ. ბაჯო 40)
1:0 ნედვედი (41)
გაფრთხილება: ნესტა, ნედვედი, მანჩინი, პარამატი, მაგონი, კ. ანდერსონი

### პიაჩენცა 1:0 ლეჩე

პიაჩენცა: სერენი, დელი კარი, ვერხოვოდი, მ. როსი, ტრამეცანი, შიენძა, მაცოლა, ვალოტი (ვალტოლინა 57), პიოვანი (სტროპა 51), დიონიჯი (მურჯიტა 57), რასტელი
ლეჩე: ლორიერი, საკიჩი, ვიალი, ბელუჩი, როსინი, კონტიკიო, გოვედარიცა (დე ფრანჩესკო 80), პიანგერელი, ჯანინი (მარტინესი 76), კასალე (მ. როსი 58), პალმიერი
1:0 შიენძა (78)
გაფრთხილება: ტრამეცანი, ვიალი, ბელუჩი, კონტიკიო, ჯანინი, კასალე

### სამპდორია 1:1 რომა

სამპდორია: ფერონი, ბალერი, მანინი, მიხაილოვიჩი, ჰუგო (დიენგი 76), პეზარეზი, ბოლოხსიანი, ვერონი (სკარკილი 86), ფრანჩესკეტი, მონტელა, სინიორი
რომა: კონსელი, კაფუ, პეტრუცი, ალდაირი, კანდელა, ტომაზი, დი ბიაჯო, დი ფრანჩესკო (თეთრაძე 74), პაულო სერჟიო, ბალბო, ტოტი
0:1 მანინი (26ს.კ.), 1:1 მიხაილოვიჩი (34)
გაფრთხილება: მიხაილოვიჩი, პეზარეზი, ტოტი

# უკმაყოფილო მენავთობე და უგოლო რონალდო

„ინტერის" პრეზიდენტმა, მილიონერმა მასიმო მორატიმ ცხოვრებაში პირველად მისცა თავს ნება, რონალდოზე განსხვავებული აზრი გამოეთქვა. კვირას „ემპოლისთან" 1:1-ისა და სერია A-ს ლიდერობის დაკარგვის შემდეგ მან ბრაზილიელი სუპერვარსკვლავი მცირედ გააკრიტიკა.

მორატის საამისოდ აქვს კიდევაც საბაბი. მან გასულ ზაფხულზე ვარსკვლავბიჭუნას შესაძენად 30 მილიონი დოლარი დახარჯა. უკან არაფერზე დაიხია და იგი ყოფილ კლუბს, ესპანურ „ბარსელონას" წინააღმდეგობრივი კანონების მიუხედავად გამოსტაცა ხელიდან, ახლა კი ხედავს, რომ ბრაზილიელს თამაში ვაუხუნდა — 6 დეკემბრის შემდეგ გოლი არ გაუტანია და შავ-ლურჯთა გუნდს წაფორხილების პერიოდი დაუდგა.

— რონალდო საკუთარ თავს აღარ ჰგავს, ის უბრალოდ ცუდად თამაშობს — თქვა მენავთობე მაგნატმა — ნამდვილად არ ვიცი, რა პრობლემის წინაშე დგას, მაგრამ შეუიარაღებელი თვალითაც ნათლად ჩანს, რომ რაღაც სირთულეს აქვს თავი წამოყოფილი.

მორატის კითხვა დაუწვრილმანეს, ხომ არ თვლით, რომ 21 წლის, მსოფლიოს ორგზის საუკეთესო მოთამაშეს არც მეტი, არც ნაკლები, კრიზისი დაეწყოო. პრეზიდენტმა უპასუხა:

— დიახ, რაღაც ამდაგვარს ჰგავს, ყოველ შემთხვევაში მე ასე მგონია და ვთვლი, რომ ამას თავადაც თუ გააზრებდა, ურიგო არ იქნებოდა. ვიმეორებ, მის წინაშე დამდგარი პრობლემის არსი ჩემთვის უცნობია, მაგრამ ვხედავ, რომ პრობლემა არსებობს. რონალდო ცუდად თამაშობს.

მორატიმ თქვა, რომ ისე საძაგლად, როგორც „ემპოლისთან" შეხვედრის პირველ ტაიმში, „ინტერს" ამ სეზონში არ უთამაშია, თუმცა, ამას მოაყოლა, მეორე ნახევარი გაცილებით უკეთ ჩავატარეთო. პრესკონფერენციაზე საუბარი ტაქტიკაზეც ჩამოვარდა. პრეზიდენტი არც მწვრთნელის, ლუიჯი სიმონის მიერ არჩეული სათამაშო გეგმით ყოფილა კმაყოფილი და ამის ასახსნელად მან მეტად მარტივი, მაგრამ ურყევი არგუმენტი მოიყვანა:

— რონალდოს ორი გოლი რომ გაეტანა და „ინტერს" თამაში მოეგო, ვიტყოდი, რომ მწვრთნელმა ჩინებული ტაქტიკა შეიმუშავა მაგრამ სამწუხაროდ წავაგეთ...

რონალდოს თემა სხვა სპეციალისტებმაც აიტაცეს. „როცა გოლი გააქვს, თავის არსებობას ამართლებს, მაგრამ საკმარისია ვერ გაიტანოს, რომ ჩათვალეთ, გუნდი ათი ფეხბურთელითაა მოედანზე."—თქვა ცნობილმა რადიომიმომხილველმა სანდრო ჩიოტიმ.

„შეიძლება მთელი სეზონის მანძილზე გამარჯვებას ერთ ადამიანს სთხოვდე? ეს ის კითხვა გახლავთ „ინტერმა" საკუთარ თავს რომ უნდა დაუსვას. დღეს ამ გუნდის მოთამაშეებმა მხოლოდ ერთი რამ იციან, როგორც კი მიიღებენ ბურთს, გრძელი პასით რონალდოსკენ უნდა გადააგდონ, მეტი კი არაფერი მოეთხოვებათ"— წერდა გუშინდელი „გაძეტა დელო სპორტი."

„კორიერე დელო სპორტის" აზრით: „რონალდო დაიღალა. ის დიდებული აღარაა, მისი ყველა ნაბიჯი იშიფრება. ეს გასაგებიცაა, ამდენ შეხვედრას ზედიზედ ვერავინ ჩაატარებს უმაღლეს დონეზე და ამაზე მორატისა და სიმონის დაფიქრება არ აწყენდათ."

— ნუ დაგავიწყდებათ, რომ რონალდოც ადამიანია — მხარი დაუჭირა თანაგუნდელს ალვარო რეკობამ.

მენავთობე მილიონერი კი განსაკუთრებით იმას გაუღიზიანებია, რომ მათმა ფრემ უმთავრეს მეტოქეს, ტურინის „იუვენტუსს" საშუალება მისცა მიმდინარე სეზონში პირველად გადაესწრო „ინტერისთვის" და გათამაშების ცხრილს სათავეში მოქცეოდა. „იუვენტუსმა" ბერგამოს „ატალანტა" 3:1 დაამარცხა და ვინაიდან ეს ტური იტალიაში პირველი წრის ბოლო გახლდათ, ეგრეთწოდებული „ზამთრის ჩემპიონიც" ის გახდა. ცხადია, ეს ტიტული არ გახლავთ, ტიტული ისაა, მაისის ბოლოს რომ ეძლევა მთელი პირველობის გამარჯვებულს, მაგრამ ზამთრის ჩემპიონობა დიდი ფსიქოლოგიური მნიშვნელობა აქვს. გამოვიდა, რომ მიუხედავად რიხისა და ეფექტებისა, ჩემპიონატის ნახევარი მაინც პრაქტიკული „იუვენტუსის" გამარჯვებით დასრულდა და ახლა, მეორე ნახევარს საუკეთესო სასტარტო პოზიციიდან დაიწყებს. „ბებერმა ქალბატონმა" იცის, რომ მდევარი კი არა, ლიდერია და თუ საქმე მაინცდამაინც დევნაზე მიდგა, ჯობს სხვამ სდიოს მას.

ემპოლიში „ინტერი" აგებდა. ქულა შეცვლაზე შესულმა ურუგვაელმა ალვარო რეკობამ გადაურჩინა მეტისმეტად შორიდან დარტყმულით. ალბათ იოლი წარმოსადგენია, რა დღეში ჩავარდებოდა ემპოლელთა გოლკიპერი მარკო როკატი, რომელიც იმ ეპიზოდში კარის ხაზიდან წინ იყო გასული და რეკობაც სწორედ ამით ასარგებლა. ეს შეცდომა რომ არა, მასპინძლები გაიმარჯვებდნენ და ეს დღე ვინ იცის კიდევ რამდენ ხანს დაამახსოვრდებოდათ. „ინტერთან" გამარჯვება „ემპოლისა" და მისი დარი გუნდებისთვის რომ უდიდესი შედეგია, ფაქტია. ემპოლები უმაღლეს საფეხბურთო ლიგაში დროგამოშვებით ადიან და მერე ისევ წლობით იკარგებიან, „ინტერი" კი ყოველთვის „ინტერად" დარჩება.

— რეკობამ პირადად გადაგვარჩინა თამაში, წინააღმდეგ შემთხვევაში მატჩის ფრედ დამთავრებას ჩვენ ვერ მოვახერხებდით — ამგვი დაუფასა ქვეშევრდომს მწვრთნელმა ლუიჯი სიმონიმ და შემდეგ „ინტერის" მეორე ადგილზე ჩაქვეითებასაც გულახდილად გაუკეთა კომენტარი — არ მეგონა „იუვენტუსი" ოდესმე თუ გადაგვასწრებდა, მაგრამ ფაქტი ფაქტია, ჩვენ შეცდომები დავუშვით და ტურინელებს პირველ ადგილზე გადასვლის საშუალება მივეცით. ახლა სხვა გზა არ გვაქვს, ნაწენევი სიმწარე უნდა ჩავყლაპოთ და შემდეგ საგანგებო ზომების მიღება მოგვიწევს.

ტურინის „სტადიო დელე ალპიზე" კი ამასობაში 42 ათასი ადამიანი ზეიმობდა საყვარელი „ზებრის" დოლში დაწინაურებას. მასპინძლებს 56-ე წუთზე ჰქონდათ დაწინაურების შანსი. მაგრამ ბერგამოელთა მეკარემ ალბერტო ფონტანამ ალესანდრო დელ პიეროს პენალტი აუღო. ნიშანდობლივი გახლდათ, რომ ფონტანას მოგერიებული თერთმეტმეტრიანის მისალოცად თანაგუნდელები მიცვივდნენ, გოლკიპერმა კი ისინიც მოიგერია, მშვიდად, ისეთი არაფერი მომხდარა, ბრძოლა განვაგრძოთო, შეუძახა. შეძახებამ „ატალანტას" მოთამაშეებს არ უშველა, ხსენებული ეპიზოდიდან რვა წუთის შემდეგ დელ პიერომ მაინც შექმნა გოლი, მან ასისტენტობა გაუწია ანტონიო კონტეს, რომელმაც ანგარიში გახსნა. სტუმრებმა ერთხელაც გამოავლინეს ნებისყოფა და უდერკი სული, შეცვლაზე შესულმა კაჩამ „იუვენტუსისა" და იტალიის ნაკრების კარის მცველს ანჯელო პერუცის ბურთი თავზე გადაუგდო და ანგარიში გაათანაბრა, მაგრამ ძლიერმა მაინც იძალა. „ბებერ ქალბატონს" დაჯინება „ატალანტაზე" არანაკლები სჩვევია, ოსტატობა ხომ აქვს და აქვს, თანაც გუნდში ზინედინ ზიდანიც დაურბის. საფრანგეთის ნაკრების გამთამაშებელმა იმ დღეს ორი გოლი გაიტანა, თავითა და ფეხით. ეს მის მეოთხე და მეხუთე გოლები გახლდათ მიმდინარე სეზონში.

უდინეში, აქაური გუნდის გერმანელმა ფორვარდმა ოლივერ ბირჰოფმა იყოჩაღა. „უდინეზე" „ვიჩენცას" ეპაექრებოდა. ბირჰოფმა თავიდან მეკარისგან მარცხენა ძელის სიახლოვიდან, მაკრატელა დარტყმით საპირისპირო კუთხეში მოათავსა ბურთი, შემდეგ კი მეტოქის მეკარესთან საინტერესო და თვალსასეირო ორთაბრძოლაში მოიპოვა გამარჯვება. ეპიზოდი თვალსასეირო იმით გახლდათ, რომ გოლკიპერმა გერმანელის პირველი და მეორე დარტყმა მოიგერია და მხოლოდ მესამეთი შეაგდო ბურთი ბადეში. აქ იმის აღნიშვნა შეიძლება, რომ ბირჰოფს თავით არ გაუტანია. „უდინეზეს" მესამე გოლი ტომაზო ლოკატელიმ ჩაიწერა თავის ანგარიშზე.

ცნობილ „სან სიროზე" კი „მილანი" მასპინძლობდა. სხვათაშორის შავ-წითლებმა მიმდინარე სეზონში ამ სტადიონზე გამართული ცხრა შეხვედრიდან მხოლოდ ორმა მიაღწიეს გამარჯვებას. კვირას ისინი „ფიორენტინასთან" დამარცხდნენ. ანგარიში ბელგიელმა ლუის ოლივეირამ გახსნა პორტუგალიელი რუი კოშტას პასით. ეს რომ მოხდა, თამაში სულ ორიოდ წუთის დაწყებული გახლდათ, მეორე ტაიმში კი დომენიკო მორფეომ მილანელთა კარში მეორე გოლიც შეაგდო. საგულისხმოა, რომ ფლორენციელებს „სან სიროზე" „მილანისთვის" 1987-88 წლების ჩემპიონატის შემდეგ არ მოუგიათ, სილვიო ბერლუსკონის გუნდი კი ცხრათამაშიანი დაუმარცხებელი სვლის შემდეგ ზედიზედ მეორედ დამარცხდა.

**პაპუნა ძიძია**

## ესპანეთი

# მსტოვრები

„ბარსელონამ" წინა ტურში ლიდერობა დაკარგა და ახლა მისი დაბრუნება ძლიერ უჭირს. მართალია, კატალონიელები ჩემპიონატის პოტენციურ ლიდერებად რჩებიან.

ესპანეთის ჩემპიონატის თამაშები კარგა ხანია, რამდენიმე დღეს იმართება. ამჯერადაც ასე იყო — „ატლეტიკომ" შაბათს ითამაშა, „რეალმა" და „ბარსელონამ" კი კვირას. მთავარი მოვლენები სწორედ 25 იანვარს განვითარდა, მიუხედავად იმისა, რომ მადრიდში, „ვისენტე კალდერონეს" სტადიონზე გამართული მატჩი „ატლეტიკოსა" და „ატლეტიკს" შორის მეტად საინტერესო იყო.

„ბარსელონასთან" შედარებით „რეალმა" ადრე ითამაშა და მალევე წააგო. „სოსიედადი" ამ სეზონში შინ არ დამარცხებულა და არც ახლა დათმო მატჩი, მიუხედავად იმისა, რომ ფერნანდო მორიენტესის მე-5 წუთზე გატანილი გოლის წყალობით იგებდა. მადრიდელთა ლიდერობა და სიხარული მხოლოდ 20 წუთს გაგრძელდა, მერე კი მასპინძლებმა იძალეს და მატჩიც თავიანთ სასარგებლოდ დაასრულეს — 4:2. ეს „რეალისთვის" ამ სეზონში ყველაზე დიდი მარცხი გახლდათ.

— შესვენების შემდეგ ვერაფერი ვილონეთ, ძალიან მოვეშვით. მეტოქეს თამაშს მხოლოდ ერთი შეფასება შეიძლება მიეცეს — დიდებული. მოგებას ისინი ნაღდად იმსახურებდნენ. ახლა ჩვენთვის მთავარია, „ბარსელონასთან" სხვაობა არ გაეფლანგოთ, თორემ ჩემპიონობისთვის, მერწმუნეთ, ვიბრძოლებთ — განაცხადა სამეფო გუნდის მწვრთნელმა იუპ ჰაინკესმა.

წაგებას „რეალის" პრეზიდენტ ლორენსო სანსისგან სათანადო გამოხმაურება მოჰყვა. სანსი ჰაინკესს ადრეც აკრიტიკებდა ფეხბურთელთა არასწორი შერჩევისა და გუნდის დაცვითი სათამაშო სტილის გამო, მაგრამ „სოსიედადთან" წაგების შემდეგ მას ჰაინკესის მიწასთან გასასწორებლად განსაკუთრებული მიზეზი მიეცა.

— გუნდი გუნდს არ ჰგავს. „რეალი" მხოლოდ სახელი როდია, იგი წლების მანძილზე უძლეველი იყო ევროპაში, შინაურ პირველობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. „რეალის" მიზანი ყველა ტურნირში პირველი ადგილია. უნდა მივეჩვიოთ იმაზე ფიქრს, რომ „რეალი" ჩემპიონობისთვისაა შექმნილი. დღეს კი რა ხდება? უკვე შვიდი შეხვედრაა, სტუმრად ვერ მოგვიგია. ეს არ უნდა ხდებოდეს, მეტოქეები ნელ-ნელა გვეწევიან, პირველობის მიწურულს კი მოსალოდნელია, ჩემპიონობისთვის ბრძოლა მხოლოდ „ბარსელონასთან" კი არა, კიდევ რამდენიმე გუნდთან მოგვიწიოს, — განაცხადა სანსმა.

მისი აღშფოთება ჰაინკესის ყოვლად გაუმართლებელი მატჩისშემდგომ ახსნა-განმარტებებს მოჰყვა.

მწვრთნელმა „სოსიედადთან" წაგება სამი მთავარი მიზეზით ახსნა. მისი თქმით, კარამბეუსთან უხეშობის გამო მსაჯმა ნაღდი პენალტი არ დანიშნა სოსიედადის კარში, რობერტო კარლოსმა პენალტი ვერ გაიტანა და მასპინძლებმა მეორე გოლი თამაშგარედან შეაგდეს.

რაც იყო, იყო, წარსულის შეცდომებს ველარ გამოასწორებ, მთავარი მაინც იმედიანი მომავალია, ჰოდა, ჰაინკესმა სანსის გულის მოგება თამამი პროგნოზებით სცადა — მალე ყველაფერი რიგზე იქნება, სტუმრადაც მოვიგებთ და ჩემპიონებიც გავხდებითო.

ამასობაში ხმები დაირხა, ლორენსო სანსი მომავალ სეზონში „რეალის" მწვრთნელად მარჩელო ლიპის, ანაც არსენ ვენგერის დანიშნას აპირებსო.

„ბარსელონას" გულშემატკივრებს იმედი მიეცათ. გამარჯვების შემთხვევაში კატალონიელები ქულით ასწრებდნენ „რეალს" და თან ერთი თამაშით ნაკლები ექნებოდათ, მაგრამ მათ იმედებს ლა კორუნიაში ახდენა არ ეწერა — იმ დღეს „დეპორტივომ", განსაკუთრებით კი მასპინძელთა კამერუნელმა მეკარე ჟაკ სონგომ შეუდარებლად ითამაშა.

უკვე მე-3 წუთზე სტუმრები მდევრის როლში აღმოჩნდნენ — ჟერომ ბონისელის გარღვევა ფრანმა ჰესპის კარის ბადის შერხევით დაასრულა. გოლმა „ბარსელონა" თითქოს გამოაღვიძაო და ვან გაალის გაშმაგებული გუნდიც ლა კორუნიელებს ეკვეთა, მაგრამ, როგორც ზემოთ ვთქვით, სონგო კარში მაგრად დადგა და გოლი ცოცხალი თავით არ გაუშვა.

სანამ „დეპორტივო" მეორედ დალაშქრავდა „ბარსელონას" კარს, სტუმრები მასპინძელთა საჯარიმოში უშედეგოდ დაბორიალობდნენ, მერე კი ლონემიხდილები უყურადღებობისთვის დაისაჯნენ — ურუგვაელმა სებასტიან აბრეუმ მარცხენა ფლანგზე გაინავარდა და მასპინძელთა უპირატესობა კიდევ ერთი გოლით გაიზარდა. მალე ბრაზილიელმა ჯალმინიამ კიდევ უფრო გაზარდა ანგარიში. ერთადერთი, რაც სტუმრებმა მოახერხეს, სხვაობის ოდნავ შემცირება იყო — ეს ხუან პიციმ შეძლო.

მიუხედავად იმისა, რომ პიციმ გოლი თამაშის მიწურულს გაიტანა, მატჩი ამით არ დასრულებულა — მსაჯი, სანამ შეხვედრას დაასრულებდა, კიდევ ერთხელ გაისარჯა და უხეშად მოთამაშე ფრანი მინდვრიდან მიაბრძანა.

— გუნდს რაღაც სჭირს. „ბარსა" ავადაა. მერწმუნეთ, ყველანაირად ვცდილობ, კლუბს ძველებური ხიბლი დავუბრუნო, მაგრამ, სამწუხაროდ, არ გამოვდის. მიუხედავად მარცხისა, მარაგში თამაში კიდევ გვაქვს, ვეცდებით, დანაკარგი „ბეტისთან" აღვინაზღაუროთ. დროა, ჩემპიონის თასი „ბარსელონაში" წავიდეს — განაცხადა დამარცხებულთა თავკაცმა, ჰოლანდიელმა ლუის ვან გაალმა.

აბრეუს გოლის გატანა ისე გახარებია, რომ ახალი საგოლე ცეკვა გამოუგონია... ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ კი აბრეუს ხუმრობა ვერ გაიგო და მოთამაშე 2,500 დოლარით დასაჯა.

ტურის სხვა მატჩებს რაც შეეხება, ჩემპიონატის აუტსაიდერმა ხიხონის „სპორტინგმა", რომელსაც უკვე 22 ტურია, შეხვედრა ვერ მოუგია, კვლავ დათმო, მიუხედავად იმისა, რომ შუა თამაშში გაყაიმება შესძლო.

ჩემპიონატის სტარტზე ერთხანს პრიმერა დივიზიონის ფსკერზე მოყურყუტე „ვალენსიამ", რომლის პროგრესიც საგრძნობია, ერთბაშად ექვსი გოლი გაუტანა სანტანდერელებს.

ვალენსიელებზე ერთით ნაკლები გაიტანეს „ტენერიფეს" ფეხბურთელებმა. ოღონდ ოთხი გოლის შეგდება მათ მას შემდეგ მოახერხეს, რაც „კომპოსტელას" მეკარე რენე პონკი გააძევეს. მანამდე 1:1 იყო.

კვლავ იხეირა ბეტისის „რეალმა", რომლის მორიგი მსხვერპლი ვიგოს „სელტა გახდა. აღსანიშნავია, რომ ამ შეხვედრაში პირველი გოლი ხორვატმა რობერტ იარნიმ პირდაპირ კუთხურიდან გაიტანა.

**ონისე შინჯიკაშვილი**

## იტალია

სერია B

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სალერნიტანა | 19 | 10 | 8 | 1 | 37:17 | 38 |
| ვენეცია | 19 | 11 | 5 | 3 | 32:14 | 38 |
| კალიარი | 19 | 8 | 8 | 3 | 27:17 | 32 |
| ტორინო | 19 | 8 | 5 | 6 | 27:25 | 29 |
| პერუჯა | 19 | 7 | 7 | 5 | 20:21 | 28 |
| ვერონა | 19 | 7 | 6 | 6 | 24:15 | 27 |
| ტრევიზო | 19 | 6 | 9 | 4 | 21:17 | 27 |
| რეჯანა | 19 | 7 | 5 | 7 | 13:14 | 26 |
| ლუკეზე | 19 | 7 | 5 | 7 | 19:21 | 26 |
| პესკარა | 19 | 6 | 6 | 7 | 23:25 | 24 |
| რეჯინა | 19 | 6 | 6 | 7 | 18:22 | 24 |
| კიევო | 19 | 6 | 6 | 7 | 16:23 | 24 |
| ფ.ანრია | 19 | 5 | 8 | 6 | 21:23 | 23 |
| ჯენოა | 19 | 6 | 4 | 9 | 26:30 | 22 |
| ფოჯა | 19 | 5 | 6 | 8 | 25:29 | 21 |
| ანკონა | 19 | 5 | 6 | 8 | 24:30 | 21 |
| რავენა | 19 | 4 | 8 | 7 | 16:18 | 20 |
| მონცა | 19 | 3 | 11 | 5 | 20:26 | 20 |
| დი სანგრო | 19 | 2 | 11 | 6 | 23:32 | 17 |
| პადოვა | 19 | 3 | 6 | 10 | 11:24 | 15 |

## ესპანეთი

მეორე დივიზიონი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესტრემადურა | 24 | 12 | 8 | 4 | 33:21 | 44 |
| ალავესი | 24 | 12 | 6 | 6 | 29:18 | 42 |
| ატლეტიკო | 24 | 11 | 8 | 5 | 38:27 | 41 |
| ლას პალმასი | 24 | 9 | 13 | 2 | 44:27 | 40 |
| რაიო | 24 | 10 | 8 | 6 | 30:21 | 38 |
| ლეიდა | 24 | 10 | 7 | 7 | 30:26 | 37 |
| ვილიარეალი | 24 | 9 | 10 | 5 | 27:26 | 37 |
| ეიბარი | 24 | 9 | 9 | 6 | 25:16 | 36 |
| ლეგანესი | 24 | 9 | 9 | 6 | 22:22 | 36 |
| ალბასეტე | 24 | 9 | 8 | 7 | 30:29 | 35 |
| ერკულესი | 24 | 9 | 7 | 8 | 29:28 | 34 |
| ოსასუნა | 23 | 9 | 6 | 8 | 22:18 | 33 |
| ორენსე | 24 | 8 | 8 | 8 | 25:25 | 32 |
| სევილია | 24 | 8 | 7 | 9 | 26:26 | 31 |
| ბადახოსი | 23 | 6 | 11 | 6 | 21:18 | 29 |
| ელჩე | 24 | 6 | 6 | 12 | 30:36 | 24 |
| ტოლედო | 24 | 4 | 12 | 8 | 21:30 | 24 |
| ხაენი | 24 | 5 | 9 | 10 | 22:33 | 24 |
| ნუმანსია | 24 | 5 | 9 | 10 | 14:30 | 24 |
| სერესი | 24 | 3 | 11 | 10 | 13:23 | 20 |
| ლოგრონიესი | 24 | 2 | 11 | 11 | 14:26 | 17 |
| ლევანტე | 24 | 3 | 7 | 14 | 19:38 | 16 |

# საით გაუწევია ბრალდებულს?

იტალიური ფეხბურთის ერთ-ერთმა გოლიათმა, „მილანმა" გუშინ უარჰყო ბრიტანული გაზეთების ცნობა, თითქოს მისი ჰოლანდიელი თავდამსხმელი პატრიკ კლუივერტი გუნდს სტოვებდეს.

— კლუივერტი ჯერჯერობით ჩვენთანაა და მისი გაყიდვის შესახებ საუბარი უადგილოა, რადგან ასეთი რამ გეგმაში არ გვაქვს — განუცხადა სააგენტო „როიტერის" კორესპონდენტს „მილანის" პრეს-მდივანმა ქალმა.

მიუხედავად ცნობათა უარყოფისა, „როიტერი" ეჭვს გამოთქვამს და ამბობს, რომ სადაც კვამლია იქ ცეცხლიცაა. იტალიური გაზეთები ამასწინათ წერდნენ, რომ ჰოლანდიელმა ფორვარდმა მართლა გამოთქვა გუნდის დატოვების სურვილი, რადგან მის ყოველ სახალხო გამოჩენას ტიფოზები სტვენითა და ღრიალით ხვდებიან, რაც მასზე ცუდად მოქმედებს და შეცდომას შეცდომაზე აშვებინებს.

— თუ გულშემატკივრები ჩემს მიმართ დამოკიდებულებას არ შეიცვლიან, მე „მილანიდან" წავალ. მე რომ შეცდომა მომდის, ისინი სამჯერ ან ოთხჯერ უფრო ხმამაღლა უსტვენენ, ვიდრე სხვისი შეცდომის დროს — ჩიოდა კლუივერტი ცნობილ იტალიურ გაზეთ „ლა გაძეტა დელო სპორტში".

კლუივერტი „მილანში" „აიაქსიდან" 1997 წლის თებერვალში გადავიდა. გუშინ იგი მშობლიურ ამსტერდამში გახლდათ, სადაც სამ ნაცნობთან ერთად სასამართლოს წინაშე უნდა წარმდგარიყო. სასამართლო პროცესი დახურულ კარს მიღმა ტარდება. კლუივერტისა და მისი თანამეინახეების წინაშე კი 20 წლის ჰოლანდიელი გოგონას გაუპატიურების ბრალდება დგას.

სახალხო მსაჯულებმა ამ საქმესთან დაკავშირებით შარშან, ივნისშიც იმსჯელეს და დაადგინეს, რომ სამხილების ნაკლებობის გამო განაჩენის გამოტანა შეუძლებელია, მაგრამ გუშინ სასამართლო მაინც უნდა შემდგარიყო და დაედგინა, განხილვა უნდა შეწყდეს თუ გაგრძელდეს. ყველაფერი 1997 წლის მაისში გაუპატიურებული ქალის ვექილის ოსტატობასა და არგუმენტებზე იქნებოდა დამოკიდებული.

ამ ისტორიის გამო კლუივერტს კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდა თავს. საქმე ის გახლავთ, რომ საზოგადოებას ჯერ კიდევ არ დავიწყებია 1996 წელი, როდესაც ფეხბურთელს მანქანის სავალალოდ ტარების შედეგად ადამიანის სიკვდილში სდებდნენ ბრალს.



პატრიკ კლუივერტს ტიფოზები უსტვენენ

# ფული და მოგონებები

სოუზა იტალიაში ბრუნდება. აპენინები მან 1996 წლის ივლისში დატოვა და დორტმუნდის „ბორუსიას" მიაშურა, მაგრამ გერმანიაში მისი საქმეები აშკარად ვერ აეწყო ისე, როგორც ტურინის „იუვენტუსში". ბედმა პორტუგალიელ ნახევარმცველს ზურგი აქცია, თუმცა სანახევროდ.

„ბორუსიაში" გატარებული სეზონნახევრის განმავლობაში სოუზამ ბუნდესლიგის მხოლოდ 26 მატჩი ითამაშა, დანარჩენი დრო მას ტრავმები სტანჯავდა. სწორედ უთამაშებლობის გამო გადაწყვიტა ფეხბურთელმა „დორტმუნდის" დატოვება.

— ჩვენ უიმისოდაც კარგად ვთამაშობთ. ეს ბევრჯერ დამტკიცებულა. არ არსებობს შეუცვლელი ფეხბურთელი, ყველა ჩვენგანი უბრალო მოკვდავია. „ბორუსიას" პოტენცია ადრეც მრავალჯერ გამოჩნდა და კვლავაც გამოჩნდება. აქ უბრალოდ დროის მომენტია გასათვალისწინებელი. სოუზა კარგი ფეხბურთელია, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ჩვენ მის გარეშე არ დავილუპებით, — განაცხადა იურგენ კოლერმა, რომელმაც ტურინის „იუვენტუსი" მანამდე დატოვა, სანამ სოუზა „ბებერ ქალბატონში" წავიდოდა.

შავ-თეთრებში თამაშისას პორტუგალიელმა, უდავოდ ნიჭიერმა ფეხბურთელმა დიდი აღიარება ჰპოვა, მაგრამ 1996 წელს, ჩემპიონთა თასის მოგების შემდეგ, რატომღაც დორტმუნდში გადასვლა ამჯობინა. გავიდა ერთი წელი და სოუზა კვლავ ჩემპიონთა ლიგის ფინალშია, ოღონდ ამჯერად უკვე „იუვენტუსის" წინააღმდეგ. იგი თასს იგებს და პირველი ფეხბურთელი ხდება, რომელმაც ჩემპიონთა თასი ზედიზედ ორჯერ სხვადასხვა გუნდის შემადგენლობაში მოიგო.

მიუხედავად იშვიათი წარმატებებისა, მთლიანობაში სოუზას გერმანიაში არ გაუმართლა და გუშინ მისი ახალი კლუბიც გამოიძებნა — მილანის „ინტერი". კონტრაქტი გუშინვე გაფორმდა და სოუზა უკვე მილანელთა ფეხბურთელი გახდა, „ბორუსიას" კი მის სანაცვლოდ 8,4 მილიონი დოლარი და მოგონებები დარჩა.

— სოუზა მართლაც კარგი ფეხბურთლია, მაგრამ ხანდახან ხდება ხოლმე, ძლიერ მოთამაშეებს არ უმართლებთ. „ბორუსია" და სოუზა ამის კარგ მაგალითად გამოდგება. დარწმუნებული ვარ, იგი „ინტერში" სრულად გაიხსნება — ეს სიტყვები ნევიო სკალას, „ბორუსიის" მწვრთნელს ეკუთვნის.

...1996 წელს გერმანელებმა სოუზა 4,2 მილიონ დოლარად იყიდეს.



სოუზას „ბორუსიაში" პრობლემები თან სდევდა



ხვალ „სენ დენი" პირველ მატჩს უმასპინძლებს

# ბრწყინვალე სტადიონის შავი პრობლემები

მსოფლიოს მეთექვსმეტე ჩემპიონატის მასპინძლობამდე ხუთი თვით ადრე პარიზის გარეუბან სენტ დენისში ოფიციალურად გაიხსნება ფუტურისტული ნაგებობა „სტად დე ფრანსი". ეს სარბიელი ერთადერთია იმ ათში, რომლებზედაც პირველობის მატჩები გაიმართება. იგი 80 ათას მაყურებელს იტევს და 10 ივნისს მასზე ჩემპიონატის პირველი შეხვედრა, ბრაზილია — შოტლანდია გაიმართება, მაგრამ მანამდე, უფრო ზუსტად კი ხვალ საღამოს, „სტად დე ფრანსის" მინდორზე ისტორიის წამზომი დროის ათვლას დაიწყებს — საფრანგეთის ეროვნული გუნდი ესპანეთისას შეხვდება.

— საფრანგეთისა და ესპანეთის თამაში ჩვენთვის მხოლოდ და მხოლოდ წინასწარია, მას გამოცდის ფუნქცია აკისრია და იგი ჩვენს მიერ გამოსასწორებელ ხარვეზებზე მიგვითითებს. ვიცით, ხვალვე არ უნდა ველოდოთ საუკეთესო მდგომარეობას — განუცხადა ჟურნალისტებს კონსორციუმ „სტად დე ფრანსის" შეფმა პიერ პარისომ.

პარისოს სატკივარი საყოველთაოდაა ცნობილი: მოსალოდნელია სტადიონისკენ მიმავალ გზებზე საავტომობილო მოძრაობის შეფერხებანი, შესამოწმებელია უსაფრთხოების საკითხები, სამოქალაქო ტრანსპორტის მუშაკები გაფიცვით იმუქრებიან და საკუთრივ მინდორზე ვერაფრით ამოზარდეს ქორფა ბალახი. მოკლედ, „სტად დე ფრანსი" პრობლემათა კოქტეილს გვთავაზობს.

პრობლემათა კოქტეილს ვერ იგრძნობს 2500 მდიდარი და ბედნიერი ისინი ხვალინდელ შეხვედრას 148 კერძო ლოჟიდან მიადევნებენ თვალს, მაგრამ პარისოსა და მის ქვეშევრდომებს უფრო იმ 422,6 მილიონი დოლარის ამბავი აწუხებთ, ჩვეულებრივი ადამიანების მიერ ნაყიდმა ბილეთებმა რომ უნდა შეიტანოს მათ სალაროში. მათ ახსოვთ, რომ ნოემბერში, ფეხბურთის ყოფილ ვარსკვლავთა და სტადიონის მშენებელთა შეხვედრას 10 ათასამდე მაყურებელიც კი არ დაესწრო და ეს რაოდენობა სრულიად საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ „სტად დე ფრანსის" მისადგომებთან მოძრაობა ჩახერგილიყო. ასე განსაჯეთ, მოახლოებული მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თანაპრეზიდენტი ფერნანდ სასტრიც კი იძულებული შეიქნა მანქანა მოეტრიალებინა და შინ დაბრუნებულიყო. როდესაც პარისოს ჰკითხეს, ოთხშაბათს და მითუმეტეს შემდეგ, უფრო დიდი შეხვედრების დროს იგივეს ხომ არ უნდა ველოდოთო, მან უპასუხა, მწამს ქომაგები სტადიონსკენ თავიანთი მანქანებით კი არ დაიძვრებიან, სამოქალაქო ტრანსპორტით მივლენო.

„სტად დე ფრანსი" ცენტრალური პარიზიდან 7 კილომეტრშია და იქ მისვლა შესაძლებელია როგორც მეტროთი, ასევე საგარეუბნო მატარებლებით, რომელთა ანალოგი ევროპის დიდ ქალაქებში იშვიათად თუ მოიძებნება. გასული კვირის მიწურულს მუშები ჯერ კიდევ ღვრიდნენ ოფლს ახალი სარკინიგზო სადგურის დასამთავრებლად, რომელიც სარბიელიდან ფეხით ახლო სავალზე ააგეს. მეტროთიც არაა „სტად დე ფრანსი" მიუდგომელი. ცენტრალური პარიზიდან 15 წუთში მოხვდებით სტადიონის მახლობლობაში, ამიტომაც სამთავრობო მოხელეები და ჩემპიონატის ორგანიზატორები გამუდმებით მოუწოდებენ პარიზელებს თამაშებზე სამოქალაქო ტრანსპორტით იარონ, მანქანები კი შინ დააყენონ. „სტად დე ფრანსის" ფარეხი 6 ათასი მანქანის დაყენების საშუალებას იძლევა, ეს გაცილებით მეტია, ვიდრე ცენტრში გაბნეულ სტადიონთა ფარეხების ტევადობა, მაგრამ პარისოს თქმით, იგი საკმარისი არაა და ამიტომ ხალხმა ფეხბურთზე მანქანით მისვლის ჩვევა უნდა დაივიწყოს.

ორგანიზატორთა წუხილს ისიც ემატება, რომ ტრანსპორტელები დამატებით შემოსავალს ითხოვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი გაფიცვით იმუქრებიან. იმუქრებიან უმუშევრებიც. ისინი ხვალ სტადიონის მისადგომებთან დემონსტრაციის მოწყობას აპირებენ.

თუ ჩვეულებრივმა გულშემატკივარმა სარბიელზე მაინც შეაღწია, იქ მას საზეიმო ცერემონიალი ელის. ცერემონიალის პროგრამა ორგანიზატორებს საიდუმლოდ აქვთ შენახული.

80 ათასი მაყურებლიდან და 22 ფეხბურთელიდან ალბათ არავინ დაუწუნებს სილამაზეს „სტად დე ფრანსს", შუშისა და მყარი მასალის ჩინებულ ნაზავს, რომლის ტრიბუნებსაც მოძრავი ჭერი ფარავს. ახლა უშორესი რიგიდან მოედნამდე მანძილს აღარ იკითხავთ? ის სულ 85 მეტრია, და ნებისმიერი სკამიდან კარგად აღიქმება რაც დაბლა, გაზონზე ხდება.

მძლეოსნობის შეჯიბრებათა სამასპინძლოდ ქვედა ტრიბუნები გაიწევა და შესაბამის ფართობს გამოაჩენს. საინტერესოა, რომ ეს ქვედა ტრიბუნები სარბენ ბილიკებს არ ედება, ჰაერის ბალიშებზეა „შემომდგარი" და შესაბამისად არაფერს აზიანებს.

ხვალის თამაში მინდვრისთვისაც გამოცდა იქნება. გაზონს 14 თვის განმავლობაში საგანგებოდ ელოლიავებოდნენ, სექტემბერში კი დააგეს ისეთ ქვიშაზე, კვარცისა და ვულკანური ქვისგან რომ შედგება. ადრეც გვითქვამს, ბალახი მაინც უფერული ამოვიდა. ამბობდნენ, იმის ბრალია, რომ ადრე ამ ადგილზე ქვანახშირის და გაზის სამუშაოებს ატარებდნენო. ისიც თქვეს, ბალახის ფერნაკლულობა 160 მილიონ ფრანკად ღირებული დრენაჟის მიზეზითააო.

**პასკალ ლეტუ, როიტერი**

# დამთავრებამდე ცოტა ხნით ადრე

ენრიკე ილარიო „პორტუს" მეკარეა, რომელიც გუნდს, კვირას ჭინალამ ორ ქულად დაუჯდა. თუმცა პორტუგალიის ჩემპიონმა მაინც მოახერხა სუსტი „ვარზიმის" დამარცხება 4:3 და ცხრილს 14 ქულიანი უპირატესობით უდგას სათავეში. „პორტუმ" თამაშის დაწყებიდან სამ წუთში გახსნა ანგარიში. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ მასპინძლები ერთ გოლს კიდევ ბევრს მიაყოლებდნენ, მაგრამ სინამდვილეში მოვლენები სულ სხვაგვარად წარიმართა, ილარიომ ორი უხეში შეცდომა დაუშვა და უსახელო მოწინააღმდეგეს ორჯერ მისცა ანგარიშის გათანაბრების საშუალება. საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ ჩემპიონს გამარჯვების მისაღწევად საფინალო სასტვენამდე ცხრა წუთით ადრე დასჭირდა გადამწყვეტი გოლის გატანა. ეს ნახევარმცველმა რუი ბარუშმა მოახერხა.

ამ სეზონში „პორტუ" ზედიზედ მეოთხედ ლამობს ჩემპიონის ტიტულის მოპოვებას. მომდევნო, მეორე ადგილისთვის კი „ბენფიკა", „სპორტინგი" და „ვიტორია გიმარაეში" იბრძვიან. ლისაბონის ორივე გიგანტმა, „სპორტინგმა" და „ბენფიკამ" გაიმარჯვა, მაგრამ ამისათვის დიდი ოფლისღვრა დასჭირდათ. „სპორტინგმა" შინ „ფარენსეს" 3:2 აჯობა. გადამწყვეტი გოლი აქაც ბოლოს, თამაშის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე გავიდა. მან ლისაბონელები მესამე ადგილზე აიყვანა. დღეს ისინი ერთი ქულით ჩამორჩებიან „გიმარაეშს", რომელიც სტუმრად 1:2 დამარცხდა „აკადემიასთან" და „პორტუს" 15-ით ჩამორჩება.

„სპორტინგთან" წაგებულმა „ფარენსემ" ორჯერ გაუთანაბრა მეტოქეს ანგარიში, მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, მაინც ვერ გაძლო და პაულუ ალვეშის დაყენებას ველარაფერი მოუხერხა.

„ბენფიკას" შემადგენლობაში დებიუტი ჰქონდა ინგლისელ ბრაიან დინის, ლისაბონის გუნდში „შეფილდ იუნაიტედიდან" ამასწინათ რომ გადავიდა. ბენფიკელებმა სტუმრად ითამაშეს „კამპომაიორენსესთან" და წვალებით გაიმარჯვეს 2:1. ეს ანგარიშიც თამაშის მიწურულს, დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე გატანილმა გოლმა მოიტანა. გოლის ავტორი გახლდათ ევრო 96-ზე სახელმოხვეჭილი ჩეხი კარელ პობორსკი, რომელიც „ბენფიკას" შოტლანდიელმა მწვრთნელმა გრემ სუნესმა, შუა სეზონში „მანჩესტერ იუნაიტედისგან" შეიძინა. რაც შეეხება ზემოხსენებულ დებიუტანტს დინის, მან მართალია გოლის გატანა ვერ მოახერხა, მაგრამ მონაწილეობა მიიღო. მეტოქის მცველებს მარცხენა ფრთიდან გაუსხლტა და ბოლივიელ თანაგუნდელს ერვინ სანჩესს საგოლე პასი დაუგორა.

დავუბრუნდეთ „პორტუს". მიუხედავად გამარჯვებისა და შთამბეჭდავი ლიდერობისა, მეკარე ილარიოს თამაშმა მწვრთნელს ანტონიო ოლივეირას ალბათ თავსატეხი გაუჩინა. როგორც გითხარით, მან ორი გოლი გაუშვა „ვარზიმთან" შეხვედრაში. პირველად ლინო ლოპესის დარტყმული ხელიდან გაუვარდა და ამით სიერა ლეონეს ნაკრების წევრს ლამინე კონტეს კარის დალაშქვრის საშუალება მისცა, მეორედ კი საკუთრივ ლოპესს აღარ დასწყვიტა გული.

სეზონის აღმოჩენამ, „რიუ ავემ" ტურის გვიან შეხვედრაში 1:0 მოუგო „შავეშს" და „ბენფიკას" მეოთხე ადგილზე დამკვიდრების იმედი წყალში ჩაუგდო.

# აფრიკის თასი-98

თებერვალში აფრიკის მორიგი ჩემპიონატი დაიწყება. გუშინ შავი კონტინენტის ბოლო ჩემპიონატის გამარჯვებულმა სამხრეთ აფრიკის ნაკრებმა გუნდის შემადგენლობა გამოაცხადა.

ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის თავკაცები კვირას ჰოლანდიურ „ჰერენვეენში" მოთამაშე ჰანს ვონკს დაუკავშირდნენ და ნაკრების კარის დაცვა ანდეს. ვონკი 26 წლისაა. ორი წლისამ დატოვა სამშობლო და მერე იქ აღარ ყოფილა. ახლა კი სრულიად მოულოდნელად ნაკრებში თამაში სთხოვეს.

გუნდშია 32 წლის ჯონ მოშოუც, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინ სტამბოლის „ფენერბახჩეში" გადავიდა. ორი წლის წინ ნაკრების ჩემპიონატში გამარჯვებაში მან ლომის წილი დაიდო.

სამხრეთ აფრიკელთა შემადგენლობა ასეთია: მეკარეები — ბრაიან ბალოი (კაიზერ ჩიფსი), სიმონ გობე (ბლუფენტენი), ჰანს ვონკი (ჰერენვეენი); მცველები — მარკ ფიში (ბოლტონი), ვილემ ჯეკსონი (ორლანდო პაირატსი), ტემბა მნგუნი (მამელოდი სანდაუნსი), აარონ მოკოენა (იომო კოსმოსი), დევიდ ნიატი (სენტ გალენი), ენდრიუ რაბუტლა (პაოკი), ლუკას რადებე (ლიდსი); ნახევარმცველები — ალექს ბაპელა (მამელოდი სანდაუნსი), კვინტონ ფორტუნი (ატლეტიკო), ჰელმან მკალელე (ქაისერსპორი), ჯაბუ მნგუნი (ვაალ პროფესიონალსი), ჯონ მოეტი, დუმისა ნგობე, ბრენდან საილენტი (ორლანდო პაირატსი), ბრაიან სებაპოლე (იომო კოსმოსი), ჯონ მოშოუ (ფენერბახჩე), ტაბო მუკი (კაიზერ ჩიფსი); თავდამსხმელები — ბრენდად ავგუსტინი (ლინცერ აკ), ტაბანგ ლებესე (კაიზერ ჩიფსი), ფილ მასინგა (ბარი), ბენიკ მაკართი (აიაქსი), ჰოლენ ნდლენია (ბურსასპორი).

ძიუდო

# ბიჭებო, დროა!

ხელცარიელი დაბრუნდნენ, ამის თქმა ცოდვაა — სამი საპრიზო ადგილი ნამდვილად არ არის პატარა საქმე მაგრამ...

მაშ, ეს „მაგრამ“ რაღა შუაშია? ექვსი წელია, მოსკოვი ძიუდოისტთა უმაღლეს, A კატეგორიის ტურნირს მასპინძლობს და წლევანდლამდე ერთიც არ გასრულებულა ისე, ჩვენებურებს ოქრო არ მოეგოთ, წელს კი, უფრო ზუსტად, ამ უქმეებზე, უოქროოდ დავრჩით: ივერი ჯიქურაულმა (100 კგ) მეორე, გია გუგავამ (90) და ჯონდო მუზაშვილმა (73) მესამე ადგილები დაიკავეს. ქართველ ძიუდოისტთა მოსკოვური მონაგრის შემსუბუქება-გაფერმკრთალებას თავისი და ძალიანაც გამჭრელი მიზეზი აქვს — იქ არც ვაზაგაშვილს უასპარეზია, არც რევაზიშვილს, არც ლიპარტელიანს და არც ხახალეიშვილს, მაგრამ ისევ ზემოთ ხსენებულ პრიზიორთა, სხვა ჩვენებურ ძიუდოისტთა და ამათ პატრონ-დამმოძღვრავთა შესაგულიანებლად ვიტყვით, რომ უკვე დროა, სხვებიც წაეშველნონ ასევე ზემოთ ნახსენებ უფროს და სახელიან მეგობრებს. მოსკოვის ტურნირი და მისი მსგავსი შეჯიბრებები საამისოდ ანუ თავის უფრო გამოსაჩენად ნამდვილად კარგი საშუალებაა.

# სპორტი ყველაფერს სჯობს

თბილისის მერიის სპორტის სამმართველოში გაიმართა დამფუძნებელი ყრილობა: შეიქმნა ახალი სპორტული ორგანიზაცია — ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ფედერაცია. მსგავსი ფედერაცია უკვე არსებობს სპორტის დეპარტამენტთან, მაგრამ განსხვავებული სახელწოდებით — ერის გაჯანსაღებისა და მასობრივი სპორტის ეროვნული ფედერაცია. მისი შესატყვისი ფედერაციები კი უკვე გაიხსნა გორში, რუსთავში, ქუთაისში, ზუგდიდში. როგორც თბილისის მერიის სპორტის სამმართველოს თავმჯდომარემ ვლადიმერ კანკავამ აღნიშნა, „ამ ფედერაციის დაფუძნება დროის მოთხოვნაა. ჩვენს აწეწილ დროში, როდესაც ბევრს უჭირს თავისი ადგილი მონახოს ცხოვრებაში, სპორტი სწორედ ის სფეროა, რითაც ახალგაზრდა ქუჩას ჩამოსცილდება. უნდა ვიზრუნოთ იმაზე რომ ჯანსაღი მომავალი თაობა გვყავდეს, თუ ეს ვერ შევძელით, ჩვენს ცხოვრებასაც ფასი ეკარგება.“

ყრილობის მონაწილეებმა ჯანსაღი ცხოვრების დამკვიდრების წესის საქალაქო ფედერაციის პრეზიდენტად აირჩიეს სპორტის დამსახურებული მუშაკი გივი ყირმელაშვილი. ვიცე-პრეზიდენტად — მერიის სპორტის სამმართველოს თავმჯდომარის მოადგილე მარინა თარხნიშვილი, გენერალურ მდივნად — მერაბ კაკაბაძე.

ახალარჩეულმა პრეზიდენტმა გვითხრა: „ქალაქში ახალგაზრდობის მდგომარეობა საგანგაშოა. 14-16 წლის ბიჭების 84, გოგონების კი 78 პროცენტი ეწევა. სიგარეტის მწეველია ფეხმძიმე ქალთა 28 და მეძუძურთა 34 პროცენტი. ქალაქში 13-15 წლის მეძავ გოგონათა ჯგუფებია, რომელნიც ღიად ვაჭრობენ სხეულით. არის აგრეთვე ჰომოსექსუალისტ ვაჟთა არაერთი დაჯგუფება. ნარკომანია სულ უფრო და უფრო ახალგაზრდავდება. ამ დანაგვიანებული ატმოსფეროს გამოსასწორებლად ყველაზე ნაცადი საშუალება სპორტია და ამისთვის ყველამ ყველაფერი უნდა ილონოს. მე ილუზიებით არ ვცხოვრობ, ვიცი ჩვენი ქვეყნის დღევანდელი შესაძლებლობა, მაგრამ რისი საშუალებაც არის, მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ, რათა ახალგაზრდები ამ ჭაობს მოვაცილოთ. ჩვენი ფედერაციის შექმნას ბიძგი მისცა საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 22 დეკემბრის ბრძანებულებამ ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების შესახებ. აქედანაც ჩანს, რომ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეს ვეჭიდებით.“

**კოტე მგალობლიშვილი**


# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

**ინგლისის ჩემპიონატი.** პირველი დივიზიონი. 28-ე ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 27 იანვარი | | | |
| ბირმინგემი — სტოკპორტი | 1,7 | 2,9 | 4,0 |
| ბრედფორდი — რედინგი | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| ბერი — ვულვერჰემპტონი | 3,2 | 2,8 | 1,9 |
| შეფილდ იუნაიტედი — ჰადერსფილდი | 1,15 | 5,0 | 8,0 |
| ვესტ ბრომვიჩი — იფსვიჩი | 1,5 | 3,1 | 5,0 |
| 28 იანვარი | | | |
| მანჩესტერ სიტი — ჩარლტონი | 2,0 | 2,8 | 2,9 |
| ნორვიჩი — სანდერლენდი | 2,2 | 2,9 | 2,5 |
| სვინდონი — სტოკ სიტი | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| **ინგლისის ლიგის თასი. ნახევარფინალი.** პირველი შეხვედრები | | | |
| 27 იანვარი | | | |
| ლივერპული — მიდლსბრო | 1,25 | 3,8 | 7,5 |
| 28 იანვარი | | | |
| არსენალი — ჩელსი | 2,2 | 2,7 | 2,7 |
| **შოტლანდიის ჩემპიონატი.** გადადებული მატჩები | | | |
| 27 იანვარი | | | |
| დანდი იუნაიტედი — სელტიკი | 5,0 | 3,1 | 1,5 |
| 28 იანვარი | | | |
| აბერდინი — დანფერმლაინი | 1,7 | 2,9 | 4,0 |
| **თურქეთის თასი.** მეოთხედფინალი | | | |
| 27 იანვარი | | | |
| ბეშიქთაში — ისთანბულსფორი | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| 28 იანვარი | | | |
| ბურსასფორი — ქოჩაელისფორი | 1,5 | 3,0 | 5,3 |
| ფენერბაჰჩე — ტრაბზონსფორი | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| გალათასარაი — გაზიანთეფსფორი | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| **ამხანაგური მატჩები** | | | |
| 28 იანვარი | | | |
| საფრანგეთი — ესპანეთი | 1,8 | 2,9 | 3,4 |
| იტალია — სლოვაკეთი | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| ტუნისი — იუგოსლავია | 4,2 | 3,1 | 1,6 |
| იამაიკა — შვედეთი | 4,2 | 3,1 | 1,6 |
| კამერუნი — ეგვიპტე | 1,6 | 3,0 | 4,4 |

**ეროვნული ჩემპიონატები:**

| პორტუგალია | | ინგლისი | | საფრანგეთი | |
|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 1,01 | მანჩესტერი | 1,1 | პსჟ | 2,0 |
| ბენფიკა | 8,0 | ჩელსი | 4,0 | მონაკო | 2,5 |
| სპორტინგი | 8,0 | ბლექბერნი | 4,0 | მეცი | 2,5 |
| გიმარაეში | 8,0 | ლივერპული | 4,0 | მარსელი | 3,0 |
| | | არსენალი | 8,0 | ლანსი | 6,0 |
| **გერმანია** | | **შვეიცარია** | | **თურქეთი** | |
| ბაიერნი | 1,5 | გრასჰოპერი | 1,2 | ფენერბაჰჩე | 1,6 |
| კაიზერსლაუტერნი | 1,9 | ლოზანა | 3,0 | ტრაბზონსფორი | 2,5 |
| შტუტგარტი | 7,0 | სერვეტი | 5,0 | გალათასარაი | 2,5 |
| ლევერკუზენი | 7,0 | არაუ | 8,0 | ბეშიქთაში | 6,0 |
| **ბელგია** | | **შოტლანდია** | | **ავსტრია** | |
| ბრიუგე | 1,01 | რეინჯერსი | 1,5 | შტურმი | 1,02 |
| გენკი | 8,0 | სელტიკი | 2,0 | რაპიდი | 5,0 |
| ანდერლეხტი | 8,0 | ჰართსი | 6,0 | გრაცერი | 8,0 |
| **ესპანეთი** | | **ჰოლანდია** | | **იტალია** | |
| ბარსელონა | 1,7 | აიაქსი | 1,01 | ინტერი | 1,5 |
| რეალი | 1,7 | ეინდჰოვენი | 8,0 | იუვენტუსი | 1,9 |
| ატლეტიკო | 8,0 | ფეიენოორდი | 9,0 | პარმა | 9,0 |

ნებისმიერი სხვა გუნდი, რომელიც სიაში არ არის — 10,0

ფსონების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე.


ნაგანო 98

# შტატების დიდი გული

ზაფხულის ოლიმპიადებზე ამერიკელთა მონაპოვარი მართლაც შთამბეჭდავია: მოგებული მედლების რაოდენობით გვარიანად უსწრებენ სხვებს. მაგრამ მათი მონაგარი ზამთრის ოლიმპიადებზე შედარებით მოკრძალებულია: საუკეთესო მიღწევა ოთხი წლის წინ ლილეჰამერში მოპოვებული 13 მედალია.

ამჯერად ეს ქვეყანა გაცილებით მაღალ მიზანს ისახავს — აშშ-ის ოლიმპიურ გუნდს, რომელიც 200-მდე სპორტსმენს ითვლის, ნაგანოში 22 მედლის დასაკუთრება განუზრახავს.

— კარგად ვიცით გუნდის პოტენცია. წინასწარ რაიმეს თქმა ძნელია, მაგრამ დაახლოებით 22 მედლის მოგებას შევეცდებით. ამდენი ჯილდო ჩვენს გუნდს ზამთრის ოლიმპიადებზე ჯერ არ მოუპოვებია, მაგრამ ახლა, ვფიქრობ, ეს ძალგვიძს — განაცხადა აშშ-ის ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენელმა რობერტ კორდონმა.

მაინც ვისზე ამყარებენ ამერიკელები იმედს? უპირველეს ყოვლისა, მიშელ კვანზე, ფიგურულ მოციგურავეზე 1996 წლის მსოფლიოს ჩემპიონზე.

ამერიკელებს პიკაბო სტრიტის დიდი იმედიც აქვთ. იგი ლილეჰამერის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორია გიგანტურ სლალომში. სტრიტმა შარშან თითქმის გააცდინა სეზონი ფეხის მძიმე ტრავმის გამო, თუმცა სარბიელზე დაბრუნებულმა მსოფლიოს თასის ერთ-ერთ ეტაპზე მეოთხე ადგილს გამოჰკრა ხელი.

უძლიერესნი არიან ჰოკეისტი ქალიშვილებიც. აშშ-ის ვაჟთა ნაკრები სუსტი არასდროს ყოფილა, მაგრამ ნაგანოში, პირველად ისტორიაში, პროფესიონალი ჰოკეისტები გამოვლენ, რაც მედლების მოპოვების შანსს კიდევ უფრო ზრდის. მართალია, პროფესიონალებს კანადა, რუსეთი და სხვა ქვეყნებიც გამოიყვანენ, მაგრამ ამერიკელებს ეს არ ანაღვლებთ.

მძლეოსნობა

ზამთარია, სიცივეა, მძლეოსნებს ღია ცის ქვეშ ასპარეზობა არ ეჭაშნიკებათ, მაგრამ დროს უქმად არ კარგავენ და ჭერქვეშ განაგრძობენ ბრძოლას.

ჰაილე გებრასელასიეს მიერ კარლსრუეში დამყარებულ მსოფლიოს რეკორდის შესახებ უკვე გამცნეთ. ეთიოპიელის რეკორდმა სხვა გამარჯვებულები შედარებით ჩრდილში მოაქცია.

# სენსაცია? კი, ბატონო!

მაგალითად, იმავე კარლსრუეში კაცებსა და ქალებს შორის 60 მეტრზე სირბილში პირველ-მეორე ადგილები მხოლოდ ნიგერიელებმა დაიკავეს. კაცებში დევიდსონ ეზინვამ (6.56 წამი) იმარჯვა, მეორე კი მისი ძმა ოსმონდი იყო (6.57), ქალებში პირველობა ჩიომა აკუნვამ (7.07 წამი) მოიპოვა, მეორე ადგილს კი კრისტი ოპარა (7.15) დასჯერდა.

ქალთა შორის ჭოკით ხტომაში უკრაინელმა ანჟელა ბალახანოვამ გაიმარჯვა. მან 4,33 მეტრი სიმაღლე დასძლია, რაც მანამდე ევროპელთაგან ვერავინ შეძლო.

ბალახანოვას გაცილებით სახელოვან თანამემამულეს, ასევე ჭოკით მხტომელ სერგეი ბუბკას ცოტა დააკლდა, 36-ე მსოფლიოს რეკორდი დაემყარებინა. მან შინ, დონეცკში იასპარეზა, მაგრამ 5.80 მეტრზე მეტი ვერ დაძლია. ეს მიღწევა ტურნირში გამარჯვებისთვის საკმარისი აღმოჩნდა, რადგან მეორე-მესამე ადგილებზე გასულმა ამერიკელმა დონ სტარკიმ და შვედმა პეტერ ვიდენმა მხოლოდ 5.70 მეტრი დაძლიეს. ბუბკამ 6.16 მეტრზე გადახტომაც სცადა, მაგრამ ამაოდ. 36 წლის მძლეოსანმა ურეკორდოდ გაიმარჯვა, მაგრამ იმედი გამოთქვა, რომ წელს კიდევ მოახდენს სენსაციას, რადგან ამისთვის საკმარისი დრო აქვს.

ველორბოლა

# ჯამოლიდინი მოლოდინშია

შარშან დოპინ-კონტროლზე უზბეკი ველომრბოლელი ჯამოლიდინ აბდუჯაპაროვი გამოიჭირეს და „ტურ დე ფრანსიდან“ გამოაგდეს. მოგვიანებით ველოსპორტის საერთაშორისო კავშირმა აბდუჯაფაროვი ერთი წლით მოკვეთა ყველანაირი რბოლიდან და თან 2 790 დოლარითაც დააჯარიმა.

მისი დისკვალიფიკაციის ვადა 1998 წლის 12 ივლისს იწურება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ველომრბოლს საერთაშორისო რეიტინგში 300 ქულის დაკლება არ ასცდება.

# გერმანელები ევროპას ემუქრებიან

შარშანდელი „ტურ დე ფრანსი“ იან ულრიხმა მოიგო. იგი პირველი გერმანელი გახდა, რომელმაც ყველაზე პრესტიჟულ ველოტურში იმარჯვა.

გუშინ ბონში, გერმანიის ტელეკომის შტაბ-ბინაში, ულრიხს და მის გუნდს, „დოიჩ ტელეკომს“ ოფიციალური მიღება მოუწყვეს, რომლის დროსაც გერმანიის ტელეკომის თავკაცებმა გუნდის უფროსობას და სპორტსმენებს დაუზარელი საქმიანობისთვის. მადლობა უთხრეს და შემდგომი წარმატებები უსურვეს. ამასთანავე, ორგანიზაციამ „დოიჩ ტელეკომის“ სპონსორობა გააგრძელა და 1998 წელს მრბოლებს „ტურ დე ფრანსსა“ და „ჯირო დე იტალიაში“ გამარჯვება დაუსახა მიზნად, როგორც გუნდურ, ისე პირად ასპარეზობებში. საამისოდ გუნდის დირექტორმა ვალტერ გოდფუტმა უკვე იზრუნა და „დოიჩ ტელეკომში“ უძლიერესი ველომრბოლები მიიწვია.




რეგულარული ჩემპიონატი

# ჩიკაგო ნახევარ წამშიც იგებს

23 იანვარი

**ფინიქსი 93:77 დენვერი**

**ფინიქსი: მაკდაიესი (24)**
**დენვერი: ჯეკსონი (18)**

დენვერმა ზედიზედ 23-ედ წააგო და ამ „მიღწევით“ ვანკუვერს გაუტოლდა. კოლორადოელების წინააღმდეგ ერთ დროს მათმა თანაგუნდელმა ანტონიო მაკდაიესმა გამოიდო თავი, 24 ქულით სეზონის რეკორდი დაამყარა და შურიც იძია დენვერის ბოსებზე რომლებმაც სეზონის წინ რამდენიმე მილიონი ვერ გაიმეტეს მის გუნდში დასატოვებლად.

**სან ანტონიო 81:75 დალასი**

**სან ანტონიო: რობინსონი (17+13 მოხსნა+5 დაფარება)**
**დალასი: სკოტი (17)**

მართალია, დალასმა ბოლო მეოთხედი 23:16 მოიგო, მაგრამ ამით ვერ დაძლია 13-ქულიანი ჩამორჩენა და ამ ორ ტეხასურ გუნდს შორის საბოლოოდ ფავორიტმა იმარჯვა.

**მაიამი 102:90 ორლანდო**

**მაიამი: ჰარდევეი (27), მაშბურნი (25), ოსტინი (21+10 მოხსნა)**
**ორლანდო: სტრონგი (24+15 მოხსნა)**

**ნიუ ჯერსი 98:100 ჩიკაგო**

**ნიუ ჯერსი: უილიამსი (23+23 მოხსნა), ვან ჰორნი (22)**
**ჩიკაგო: ჯორდანი (32), პიპენი (19)**

ჩიკაგოს თავდამსხმელმა დენის როდმანმა თამაშის წინ ვარჯიშზე დააგვიანა. ჩიკაგოს გაცხარებულმა დამრიგებელმა ფილ ჯექსონმა იგი ვარჯიშიდან დაითხოვა და ნიუ ჯერსისთან მატჩიც გამოატოვებინა. უროდმანო ჩიკაგომ 34:54 დათმო ფარი. არადა, მატჩი დიდებული სანახავი გამოდგა. ნიუ ჯერსის დარბაზი პირთამდე გაავსო 20 049 კაცმა და გუნდებმაც არ გაუცრუეს იმედები ქომაგთ. მართალია, ნიუ ჯერსი დამარცხდა, მაგრამ დამარცხდა ღირსეულად. მატჩი, როგორც მოსალოდნელი იყო, ჩიკაგოს უპირატესობით წარიმართა, მესამე მეოთხედამდე ხარებს ბევრი პრობლემა არ ჰქონიათ, მეოთხე მეოთხედში კი მშვენივრად ათამაშდა ნიუ ჯერსის ახალბედა ლიდერი ვან ჰორნი. იგი შედეგიანად გაუძღვა თავისი გუნდის შეტევებს და ნიუ ჯერსიმ 13-ქულიანი დანაკლისი შეივსო. ძირითადმა დრომ გამარჯვებული ვერ გამოავლინა (91:91) და მატჩი ოვერტაიმში გაგრძელდა, სადაც ორივე მხარე შედეგიანად ირჯებოდა. დამატებითი დროის ამოწურვამდე წამზე ოდნავ მეტი რჩებოდა, როდესაც სამ კასელმა ორი საჯარიმოთი ანგარიში გაათანაბრა 98:98. ყველა რომ იმას ფიქრობდა, ესაა, მეორე ოვერტაიმიც ვნახეთო, ჩიკაგოელმა ჯეისონ კაფმა 0,5 წამით (!) ადრე გადამწყვეტი ბურთი ჩააგდო და სეზონში 30-ედ მოაგებინა ჩემპიონს.



ჩიკაგო — იუტა. იუტელი გრეგ ოსტერტაგი (მარჯვნივ) სკოტი პიპენზე ჯარიმდება

**ატლანტა 85:89 ბოსტონი**

**ატლანტა: სმიტი (21)**
**ბოსტონი: უოლკერი (19)**

**ფილადელფია 98:87 პორტლენდი**

**ფილადელფია: კოულმენი (22+10 მოხსნა), აივერსონი (22)**
**პორტლენდი: საბონისი (30+12 მოხსნა), რაიდერი (18)**

ფილადელფიას ბოლო 10 თამაშში მეშვიდედ დერიკ კოულმენმა მოაგებინა. მან ბოლო მეოთხედის ერთ მონაკვეთში, რომელიც მისმა გუნდმა 11:6 მოიგო, 10 ქულა მიითვალა და დამთავრებამდე 2,52 წუთით ადრე ფილადელფია 91:80 დააწინაურა.

**ვანკუვერი 107:96 გოლდენ სტ.**

**ვანკუვერი: აბდულ-რაჰიმი (20)**
**გოლდენ სტეიტი: სმიტი (30), შოუ (20)**

**ინდიანა 106:102 იუტა**

**ინდიანა: სმიტსი (25), მილერი (22), დევისი (21)**
**იუტა: მელოუნი (26), სტოქტონი (18+11 პასი)**

ლეგენდარული კალათბურთელის ლარი ბერდის მწვრთნელობას ჯერჯერობით კარგი პირი უჩანს. შარშან ინდიანამ, რომელიც წინა წლებში ჩემპიონობის მაძიებელიც კი იყო, სეზონი ძალზე ცუდად ჩაატარა და ცენტრალურ დივიზიონში მეექვსე ადგილს დასჯერდა. ბერდის მოსვლასთან ერთად ინდიანელთა საქმეები გამოსწორდა და აღმოსავლელებში ლიდერობენ კიდეც. ლარი ბერდმა, წესით, ოლ სტარში აღმოსავლეთის ნაკრებს უნდა უხელმძღვანელოს.

24 იანვარი

**კლიპერსი 81:99 დენვერი**

**კლიპერსი: მარტინი (14)**
**დენვერი: გოლდვაირი (20), ნიუმენი (19)**

როგორც იქნა, უბედურ დენვერსაც ეღირსა მოგება, რითაც 23-მატჩიანი წაგებების სერია შეუწყდა. დენვერელებმა თამაშში მთელი სული და გული ჩააქსოვეს და დამსახურებულადაც გაიმარჯვეს, გოლდვაირმა კი 20 ქულით კარიერის რეკორდი დაამყარა. კლიპერსის მწვრთნელი ფიტჩი ლიგაში პირველია, ვისი ხელმძღვანელობითაც გუნდს 2000 მატჩი ჩაუტარებია.

**მილუოკი 101:97 საკრამენტო**

**მილუოკი: რობინსონი (26), ბრენდონი (23+13 პასი)**
**საკრამენტო: რიჩმონდი (32), უილიამსონი (20)**

**ჰიუსტონი 112:87 სან ანტონიო**

**ჰიუსტონი: დრექსლერი (23+9 პასი+8 მოხსნა), ბარკლი (21)**
**სან ანტონიო: რობინსონი (16)**

ჰიუსტონმა შეარცხვინა სან ანტონიო. სტუმრები, რომელთაც ორი საუკეთესო მომხსნელი რობინსონი და დანკანი ჰყავთ, ფარქვეშაც დაიჩაგრნენ 25:41. ეს მოგება ჰიუსტონის მწვრთნელ რუდი ტომიანოვიჩისთვის მე-300 იყო. მან ამას 479 თამაშში მიაღწია.

**დალასი 92:94 შარლოტი**

**დალასი: ფინლი (24), ბრედლი (23), უოლკერი (13+20 მოხსნა)**
**შარლოტი: მეისონი (29+16 მოხსნა), რაისი (29)**

ფინლის, ბრედლის და უოლკერს შარლოტელმა მეტ გეიგერმა წყალში ჩაუყარა გარჯა: 8,8 წამით ადრე ფინლის დაუფარა, რითაც ბოლო 24 მატჩში 22-ე მარცხი აწვნია დალასს.

**ატლანტა 77:92 პორტლენდი**

**ატლანტა: ლეიტნერი (19+13 მოხსნა)**
**პორტლენდი: რაიდერი (28), ტრენტი (21+11 მოხსნა)**

**კლივლენდი 111:92 ფილადელფია**

**კლივლენდი: პერსონი (17)**
**ფილადელფია: რეტლიფი (21)**

**ვაშინგტონი 104:87 ნიუ ჯერსი**

**ვაშინგტონი: უებერი (22+10 მოხსნა+8 პასი), ჰოვარდი 20)**
**ნიუ ჯერსი: კაიტლზი (21)**

მარიხუანის მოყვარული კრის უებერს ორი პასილა დააკლდა სამმაგ დუბლამდე.

**ინდიანა 95:88 ბოსტონი**

**ინდიანა: მილერი (32)**
**ბოსტონი: უოლკერი (22+16 მოხსნა)**

ლარი ბერდის ბიჭებმა თავიანთი მწვრთნელის ყოფილ გუნდს დამაჯერებლად სძლიეს. მილერის გარდა კარგად გაისარჯნენ მულინი (17 ქულა) და სმიტსი (15 ქულა, 15 მოხსნა)

**სიეტლი 101:95 ლეიკერსი**

**სიეტლი: ბეიკერი (23+10 მოხსნა), პეიტონი (20+11 მოხსნა+7 პასი), შრემპფი (19+13 მოხსნა)**
**ლეიკერსი: ონილი (30+12 მოხსნა), ჯონსი (23), ბრაიანტი (18)**

აღმოსავლეთში პირველობის მოცილე მეტოქეთა შეხვედრა სიეტლის გამარჯვებით დამთავრდა. კვლავ კარგად ითამაშა ლეიკერსის ლიდერმა ონილმა, მაგრამ თამაშის მიწურულს არცთუ შთამბეჭდავად გაისარჯა. სამაგიეროდ, ტრადიციულად, მეოთხე მეოთხედში ათამაშდა 19 წლის კობი ბრაიანტი, მაგრამ მარტო რას გააწყობდა.

**დეტროიტი 92:99 ნიუ იორკი**

**დეტროიტი: სტეკჰაუზი (35), ჰილი (20)**
**ნიუ იორკი: ოუკლი (17+12 მოხსნა)**

**ტორონტო 113:107 მინესოტა**

**ტორონტო: კრისტი (31), სტუდემაიერი (21+10 პასი)**
**მინესოტა: გულიოტა (25+13 მოხსნა+7 პასი)**

25 იანვარი

**ჩიკაგო 94:101 იუტა**

**ჩიკაგო: ჯორდანი (32), პიპენი (16+10 პასი)**
**იუტა: მელოუნი (35+11 მოხსნა)**

ეს შინაური მარცხი ჩიკაგოსთვის მეორე იყო, სულ კი მე-13. არადა, ჩიკაგოს რომ მოეგო, ცენტრალურ დივიზიონში პირველ ადგილს დაიბრუნებდა.

**ირაკლი ფირაშვილი**

### აღმოსავლეთის კონფერენცია

| | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტის დივიზიონი** | | | |
| მაიამი | 26 | 14 | 65,0 |
| ნიუ იორკი | 24 | 16 | 60,0 |
| ნიუ ჯერსი | 23 | 19 | 54,8 |
| ვაშინგტონი | 22 | 21 | 51,2 |
| ორლანდო | 20 | 23 | 46,5 |
| ბოსტონი | 18 | 23 | 43,9 |
| ფილადელფია | 14 | 25 | 35,9 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| ინდიანა | 28 | 12 | 70,0 |
| ჩიკაგო | 30 | 13 | 69,8 |
| ატლანტა | 26 | 16 | 61,9 |
| კლივლენდი | 24 | 16 | 60,0 |
| შარლოტი | 25 | 17 | 59,5 |
| დეტროიტი | 20 | 21 | 48,8 |
| მილუოკი | 20 | 22 | 47,6 |
| ტორონტო | 8 | 33 | 19,5 |

### დასავლეთის კონფერენცია

| | | | |
|---|---|---|---|
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| იუტა | 28 | 13 | 68,3 |
| სან ანტონიო | 29 | 14 | 67,4 |
| მინესოტა | 23 | 17 | 57,5 |
| ჰიუსტონი | 18 | 20 | 48,7 |
| ვანკუვერი | 13 | 30 | 30,2 |
| დალასი | 7 | 34 | 17,1 |
| დენვერი | 3 | 38 | 7,3 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| სიეტლი | 33 | 9 | 78,6 |
| ლეიკერსი | 31 | 10 | 75,6 |
| ფინიქსი | 26 | 13 | 66,7 |
| პორტლენდი | 24 | 17 | 58,5 |
| საკრამენტო | 17 | 26 | 39,5 |
| კლიპერსი | 10 | 33 | 23,3 |
| გოლდენ სტეიტი | 7 | 33 | 17,5 |

## ხმა ერისა

გასრულდა არჩევნები, რომელმაც გამოავლინა ხალხის 5-5 რჩეული. ესენი თავ-თავიანთი კონფერენციების ნაკრებთა სასტარტო ხუთეულებს შექმნიან. ახლა ჯერი მწვრთნელებზეა, რომლებიც დანარჩენ 7-7 კაცს შეარჩევენ. არჩევნებში მოულოდნელობებიც მოხდა, რომელთაგან ყველაზე სენსაციურია 19 წლის და 5 თვის კობი ბრაიანტის მოხვედრა სასტარტო ხუთეულში. აქამდე ყველაზე უმცროსი ოლსტარელი მეჯიქ ჯონსონი გახლდათ. 1980 წელს მან 20 წლისა და 5 თვისამ ითამაშა რჩეულთა მატჩში. მოულოდნელობა იყო მინესოტელი კევინ გარნეტის მოხვედრაც ხუთეულში. გარნეტმა აჯობა ბარკლის, დანკანს, ბეიკერს. ქვემოთ გთავაზობთ ორივე კონფერენციის სასტარტო ხუთეულებს.

| | | |
|---|---|---|
| **აღმოსავლეთი** | | |
| ანფერნი ჰარდევეი | ორლანდო | 509 625 |
| მაიკლ ჯორდანი | ჩიკაგო | 1 028 235 |
| გრანტ ჰილი | დეტროიტი | 838 692 |
| შონ კემპი | კლივლენდი | 518 361 |
| დიკემბე მუტომბო | ატლანტა | 476 432 |
| **დასავლეთი** | | |
| გერი პეიტონი | სიეტლი | 555 715 |
| კობი ბრაიანტი | ლეიკერსი | 395 686 |
| კევინ გარნეტი | მინესოტა | 513 325 |
| კარლ მელოუნი | იუტა | 616 251 |
| შაკილ ონილი | ლეიკერსი | 565 184 |



რეგულარული ჩემპიონატი

**დეტროიტი — ფილადელფია 1:0**

**შაიბა: შენაჰანი 21 (1:0)**

მავანმა იქნებ ჩათვალოს, ასეთ მატჩზე ყურადღების გამახვილება არც ღირდაო, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ სტენლის თასის შარშანდელი ფინალისტები ამ სეზონში პირველად შეხვდნენ ერთმანეთს და, ცხადია, ორივე გრანდი დაინტერესებული იყო მატჩის შედეგით. უეჭველია, პლეი-ოფში დამარცხებულ „მფრინავებს“ რევანში წყუროდათ, დეტროიტს კი თავისი უპირატესობის დამტკიცება სურდა, მით უმეტეს, რომ ჩემპიონმა ბოლო ორი მატჩი წააგო და მხოლოდ ერთი გოლი გაიტანა. ამიტომაც იყო, გუნდებმა ფხიზელი დაცვა და კონტრშეტევებზე აგებული თამაში რომ ირჩიეს და, ფაქტობრივად, მთელი მატჩის განმავლობაში ტაქტიკა არ შეუცვლიათ. ყველაფერი კი 57-ე წუთზე გაირკვა, როცა მასპინძელთა სნაიპერმა შენაჰანმა თავისი ერთ-ერთი შანსი ჩინებულად გამოიყენა. სტუმრებს დრო არ ეყოთ მატჩის გადასარჩენად და ახლა 14 მარტს, ფილადელფიაშიღა თუ იყრიან მეტოქეზე ჯავრს.

# ცემა-ტყეპაში რა ხეირია?



ნიუჯერსელი არნოტი (25) მეტოქის კართან ომობს

**23 იანვარი. ბუფალო — ტამპა 4:1, სან ხოსე — ედმონტონი 3:2**

**24 იანვარი. ტორონტო — ტამპა 5:2, კალგარი — ვანკუვერი 5:2, სან ხოსე — ფლორიდა 1:1, ფინიქსი — ედმონტონი 2:5, ოტავა — აილენდერსი 3:2, რეინჯერსი — ნიუ ჯერსი 3:3, ანაჰაიმი — ლოს ანჯელესი 3:3, კოლორადო — დალასი 2:3, ჩიკაგო — სენტ ლუისი 5:4, დეტროიტი — ფილადელფია 1:0, პიტსბურგი — ბოსტონი 4:2, მონრეალი — კაროლინა 3:4**

**25 იანვარი. მონრეალი — ნიუ ჯერსი 1:3, ვაშინგტონი — ბოსტონი 4:1**

დასავლეთის გრანდების — კოლორადოსა და დალასის სეზონში უკანასკნელ, მეოთხე შეხვედრაში ამბიცია უეჭველად მასპინძლებს უნდა ჰქონოდათ, რადგან აქამდე სამ მატჩში მათ მხოლოდ ერთი ქულა ეკმარათ. მაგრამ დალასი ამან სრულებით არ შეაშფოთა და სახელგანთქმულ მეტოქეს მედგარი წინააღმდეგობა გაუწია. „ვარსკვლავებმა“ თავიდანვე ხელთ იგდეს ინიციატივა და ამაში თვით კოლორადოელები დაეხმარნენ თავიანთი უხეშობით. მიუხედავად ამისა, ანგარიში „ეველანშმა“ გახსნა, როცა კლოდ ლემიემ უმცირესობაში სტუმართა შეცდომით ისარგებლა. დალასელებმა მესამე პერიოდშიღა შეძლეს თავიანთი ტერიტორიული უპირატესობის გამოყენება (მანამდე კოლორადოელ ლაკრუას გოლს „ვარსკვლავთა“ ლიდერმა მოდანომ ვერბიკის ბრწყინვალე პასის შემდეგ უპასუხა) და გაიმარჯვეს კიდეც. აღსანიშნავია, რომ გადამწყვეტი შაიბა გუნდის ვეტერანმა გი კარბონომ (2) გაიტანა, რომელიც თავის დროზე კოლორადოს მეკარე რუასთან ერთად მონრეალში გამოდიოდა და მშვენივრად უწყოდა, რაში მოიკოჭლებდა მისი ყოფილი თანაგუნდელი.

თვით მონრეალისთვის ეს უქმეები ძალზე უხეირო გამოდგა. ჯერ კიდევ სამშაბათს, ბოსტონთან მატჩში, კანადელებს ორი წამყვანი ჰოკეისტი — ცენტრი საკუ კოივუ და მცველი ულანოვი გამოაკლდათ. ამ უკანასკნელს ახალ კლუბში დებიუტი ჰქონდა და თავის თანაკლუბელ პოპოვიჩთან შეჯახებისას ისე მძიმედ დაშავდა, რომ სეზონის ბოლომდე ვერ ითამაშებს. ამას მონრეალმა კაროლინასთან წაგებაც მოაყოლა. თავიდან 3:1 იგებდა, მაგრამ მერე ზედიზედ 3 გოლი გაუშვა. კვირას კი ნიუ ჯერსისთან ორთაბრძოლაში ოდელეინმა (2) დაწყვიტა გული ყოფილ თანაგუნდელებს, რომლებიც გოლკიპერ მუგის საუცხოო თამაშმაც ვერ იხსნა მარცხისგან.

პიტსბურგელი იარომირ იაგრი „ოლ სტარ მატჩის“ შემდეგ თავგამოდებით ვარჯიშობს. მან ვარსკვლავთა პაექრობას მოთელვა უწოდა, ხოლო თავისი „ვარჯიში“ მომდევნო შეხვედრებისთვის მზადებით ახსნა, როგორც ჩანს, საკმაოდ კარგადაც მოემზადა: ბოსტონთან იაგრის ორი გარღვევა მისმა პარტნიორმა ბარნსმა (8) გოლებით დაასრულა და მიუხედავად იმისა, რომ „დათვებმა“ 6-ჯერ (!) მეტი დარტყმა გაახერხეს მესამე პერიოდში, „პინგვინებს“ ვეღარ დაეწივნენ.

გადაღლილმა ბოსტონმა მეორე დღეს ვაშინგტონის ლიდერები, ოუთსი (1+1,11) და ბონდრა (31) ვერ შეაჩერა. სხვათა შორის, დედაქალაქელებს კიდევ ერთი დაშავებული, ჟიუნო (1 პასი) დაუბრუნდათ და იმედია, უფრო მოუმატებენ.

ანაჰაიმის ლიდერ კარიას „ოლ სტარის“ მატჩში გამოუძახებლობა წაადგა და დასვენებული ჰოკეისტი ბოლო მატჩებში გაორმაგებული ენერგიით ათამაშდა. კარიასა (1+1,14) და სელიანეს წყვილმა ამჯერად ლოს ანჯელესს აღვრევინა სიმწრის ოფლი: სუპერფორვარდებმა სამივე გოლში შეიტანეს თავიანთი წვლილი. აღსანიშნავია, რომ დუეტმა ბოლო 6 მატჩში 21 (9+12) ქულა დააგროვა, ხოლო ფინელი 36 გოლით კვლავ გაუძღვა სნაიპერებს.

აუტსაიდერებმა — ტამპამ და ვანკუვერმა ვერაფრით დააღწიეს კრიზისს თავი. „ელვებმა“, ეტყობა, საბოლოოდ ჩაიქნიეს ხელი და რამდენიმე საკადრო ცვლილების მიუხედავად ზედიზედ 8 მატჩი წააგეს. ტამპელებს ვერც ახალშეძენილმა მეკარემ ფიცპატრიკმა უშველა, რომელიც საკმაოდ თანაბარ თამაშში ბუფალოელმა ჰაშეკმა სრულიად დაჩრდილა. ამაზე ანგარიშიც მეტყველებს. ტორონტოში კი „ელვებმა“ ვერაფერი მოუხერხეს მოწინააღმდეგის წამყვან სამეულს, სადაც ახალბედა ჯონსონმა (1+2,11) იოლად მონახა საერთო ენა გუნდის კაპიტან მათს სუნდინთან (2 გოლი).

ბოლოდროინდელი უიღბლობით გაბეზრებულმა ვანკუვერმა მეტოქეებზე ჯავრის ამოყრა გადაწყვიტა და ამან სავალალო შედეგი მოუტანა: ამათაც და ბუფალოელებსაც სადისციპლინო კომისიამ ერთმანეთის ცემა-ტყეპა არ აპატია და გუნდები დააჯარიმა. ამის შემდეგ კანადელები დაწყნარდნენ და ერთადერთხელ წაკინკლავდნენ სან ხოსესთან. დაშოშმინებული ვანკუვერის ძლევა მეტად იოლი გამოდგა, მისმა სუსტმა დაცვამ ვერაფერი გააწყო კალგარის რიცხვმრავლობის ბრიგადების წინააღმდეგ (3-ჯერ გაიტანეს). განსაკუთრებით გამოირჩნენ მასპინძელთა კაპიტანი ფლერი (4 პასი) და მისი პარტნიორი მაკინისი, რომელმაც სეზონში პირველი ჰეთ-თრიკი გაახერხა (სულ — 10).

ათამაშებულმა ედმონტონმა სან ხოსეში თავიდან დაჯაბნა მეტოქე. მას შემდეგ, რაც ყოფილმა ნიუჯერსელმა გერინმა 2-მდე გაზარდა თავისიანთა უპირატესობა, სტუმრები დამშვიდდნენ და საბოლოოდ დაისაჯნენ კიდეც. საინტერესოა, რომ კალიფორნიელთა 2 გოლს 18 წლის ახალბედებმა, მარლომ (1+1,9) და ზიუზინმა (2 პასი) ჩაუყარეს საფუძველი.

მეორე დღეს ედმონტონმა არაერთხელ გამოიჭირა კონტრშეტევებზე ფინიქსი და მეორე პერიოდში კვლავ ახალწვეულების — გერინის (2+0,10), ზელეპუკინის (1+1,4) და ჰრკაჩის (2 პასი) ძალისხმევით შეგდებული 4 შაიბით დაჩაგრეს მეტოქე.

უქმეების ყველაზე უხვგოლიანი შეხვედრა ჩიკაგოში გაიმართა. ეს მეტად გასაკვირია, რადგან „შავ ქორებს“ წელს ძალზე უჭირთ შინ გოლების გატანა. მათი მეტოქე სენტ ლუისი, რომელსაც დაშავებული ჰალი აკლია, მხოლოდ მეორე პერიოდის შუაგულამდე გაუძლავდა ჩიკაგოს, შემდეგ კი ზედიზედ 3 გოლი გაუშვა.

**სამველ ლარიბიანი**

# ამ ესპანელს არავინ ელოდა

ავსტრალიის ღია პირველობა. მელბურნი. „რიბაუნდ ეისი". საპრიზო ფონდი 7,4 მილიონი $



კაცები. მერვედფინალი: ნიკოლა ესკუდე (საფრანგეთი) — ტოდ ვუდბრიჯი (ავსტრალია) 7:6 (7:4), 6:3, 6:2; ნიკოლას კიფერი (გერმანია) — გიიომ რაუქსი (საფრანგეთი) 6:3, 6:4, 7:5; მარსელო რიოსი (9, ჩილე) — ლიონელ რუ (საფრანგეთი) 6:2, 4:6, 6:2, 6:4; ალბერტო ბერასატეგი (ესპანეთი) — ანდრე აგასი (აშშ) 3:6, 3:7, 6:2, 6:3, 6:3.



ნიკოლა ესკუდე

შარშან ამ დროს ნიკოლა ესკუდე მსოფლიოს 415-ე ჩოგანი იყო და დიდ ტურნირებზე მოსახვედრი ქულების დასაგროვებლად ბულგარეთისა თუ საბერძნეთის სატელიტებზე უხდებოდა ასპარეზობა. კარგი შედეგებით გამორჩეული 17 წლის ფრანგი ჯერ კიდევ 1993 წლის როლან გაროსზე გამოდიოდა, მაგრამ დიდების სატურნირო ცხოვრებას ალღო ვერ აუღო და დაბალ ლიგებში მოუხდა გადაბარგება. უშედეგოდ დაკარგული 4 წლის შემდეგ, 1997-ში, ფრანგმა დახმარებისთვის ყოფილ პროფესიონალ მოთამაშეს ტარიკ ბენაბილს მიმართა და, აი, შედეგიც — ახლა მსოფლიოს 79-ე ჩოგანი უკვე ავსტრალიის ღია პირველობის მეოთხედფინალისტია, რისთვისაც, პირველ რიგში, მწვრთნელს ემადლიერება: „მან მირჩია, რომ უფრო სწრაფად მეთამაშა, აქცენტი ფორჰენდზე გადამეტანა და ხშირად გავსულიყავი ბადესთან." მერვედფინალში ესკუდეს მეტოქე ტურნირს შემორჩენილი ობოლი ავსტრალიელი — შარშანდელი უიმბლდონის ნახევარფინალისტი ტოდ ვუდბრიჯი იყო. „ვუდების" სახელგანთქმული წყვილის უმცროს წარმომადგენელს წელს თურმე საუკეთესოთა ათეულში შეჭრა დაუსახავს მიზნად, მაგრამ ავსტრალიის ეროვნული დღესასწაულის დღეს თავისიანთა გახარებაც კი ვერ მოახერხა. ემოციურობითა და არცთუ მტკიცე ნებისყოფიანი ოზი პირველ სეტში 5:2-ს იგებდა, ტაი-ბრეიკზე — 3:1-ს, მაგრამ ორჯერვე გაუშვა ხელიდან უპირატესობა და პარტია მეტოქეს გადაულოცა. ამ წარუმატებლობამ ავსტრალიელი ისე გაანაწყენა, რომ დარჩენილი დრო თამაშის ნაცვლად მსაჯებთან კამათსა და ჩოგნის მტვრევას შეალია. მესამე სეტში კი, მართალია, უნიათოდ გაიბრძოლა, მაგრამ გამოუყენებელმა ბრეიკ-პოინტებმა საბოლოოდ გატეხა და თამაშიც წააგებინა 6:7, 3:6, 2:6. ვუდბრიჯს მარცხის მიზეზის საძებნელად თავი მაინცდამაინც არ უმტვრევია და ყველაფერი გადახურულ კორტზე თამაშს გადააბრალა, საუკეთესო შედეგებისთვის ღია ცის ქვეშ მიმიღწევია, ქარის ჩემს სასარგებლოდ გამოყენება მეხერხება და დარბაზში ასპარეზობამ აშკარად ხელი შემიშალაო.

ვუდბრიჯის ნანატრი ავსტრალიური ტაროსი კი ზედიზედ მეორე დღის განმავლობაში ტურნირის მთავარ მოქმედ პირად იქცა. მელბურნი, სადაც შარშან ჩოგბურთელები პაპანაქება სიცხეში იხრუკებოდნენ, წელს უიმბლდონს უფრო დაემსგავსა — გადაუღებელი წვიმების მსხვერპლი შეიქნა. თუმცა, ინგლისელებისგან განსხვავებით, შეძლებულ ოზებს მზისა თუ ღრუბლისგან ცენტრალური კორტის მოძრავი სახურავი იცავს. ასე რომ, მხოლოდ მცირე კორტების იაფფასიანი ბილეთების მფლობელები ზარალდებიან, ქოლგებს შეფარებულნი გიგანტურ ეკრანზე მიმდინარე ბატალიების ყურებით რომ კმაყოფილდებიან, თუმცა, ორშაბათს ნაშუადღევს მაინც გამოიდარა და მატჩები მცირე კორტებზეც გაიმართა.

აქ გამოვლინდა მეოთხედფინალში ესკუდეს მეტოქე — 20 წლის ნიკოლას კიფერი. ბორის ბეკერისა და მიხაელ შტიხის მიერ გათავისუფლებულ გერმანიის საჩოგბურთო ტახტზე მოკალათებულმა მეოთხე წრეში მაიკლ ჩანგის მძლეველ გიიომ რაუქსს აჯობა, კიფერმა მატჩის განმავლობაში პირველი მოწოდების მხოლოდ 43 პროცენტი ჩააგდო, თუმცა მეტოქის ერთადერთ ეისს თავის მხრივ თორმეტით უპასუხა, სათვალიან ფრანგზე ორჯერ მეტი „სუფთა" ქულაც დაუგროვდა და თავისი აგრესიული, შეტევითი თამაშით უპირატესობა მთელი მატჩის განმავლობაში არ გაუშვია ხელიდან 6:3, 6:4, 7:5.

მეოთხედფინალში ადგილი დაიბევა კაცების ბადის ქვედა ნახევარში შემორჩენილმა ერთადერთმა განთესილმა — ჩილელმა მარსელო რიოსმაც (9). კიკინიანი სამხრეთამერიკელი ფრანგ ლიონელ რუსგან წინააღმდეგობას მხოლოდ მეორე სეტში გადააწყდა, დანარჩენ დროს კი უკანა ხაზიდან აწყობილმა თამაშმა შესაფერისი შედეგი გამოიღო — 6:2, 4:6, 6:2, 6:4.

დღის მშვენება კი ჯერჯერობით ტურნირის საუკეთესო მატჩი, „ოუფენის" ფხიანი ორგანიზატორების მიერ ბოლოსთვის შემონახული ანდრე აგასისა და ალბერტო ბერასატეგის ორთაბრძოლა გამოდგა. ფავორიტად, მელბურნის კორტებზე მეორედ მოსული მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი ითვლებოდა, რადგანაც ბერასატეგის გამარჯვება მეორედ განთესილ პატრიკ რაფტერთან ყველამ შემთხვევითობად, ავსტრალიელის კორყებისა და უილბლო ნახტომებში დაიარებული ფეხის მომიზეზებით ახსნა. აგასის ადგილობრივი ბუკმეიკერები სამპრასის მერე გამარჯვების მთავარ პრეტენდენტად თვლიდნენ, ზოგმა ორი ამერიკელის საფინალო მატჩის შედეგების გამოცნობას მიჰყო ხელი და თავად სამპრასმაც გადამწყვეტ მატჩში ძველ მეტოქესთან შეხვედრა იწინასწარმეტყველა, ანდრე ისეთ ფორმაშია, ჩემს გარდა მაგის გამჩერებელი კაცი არ ჩანსო. მოკლედ, იმდენი ქნეს, მეუღლის მხარდასაჭერად ამერიკიდან ბრუკ შილდსიც ჩამოაფრინეს, ანდრეს დიდი გამარჯვებები არ გამოტოვოსო. აგასიმაც, მეორე ნახევართან არ შევრცხვეო, პირველი ორი სეტი ერთ ამოსუნთქვით მოიგო — უკანა ხაზზე მოკალათებული მეტოქეს კორტის ერთი ბოლოდან მეორეში თავქუდმოგლეჯილს დაარბენინებდა, თავისი უძლიერესი ორხელა ბექჰენდით ქულას ქულაზე ითვლიდა და პირად სტუმართა ლოჟისკენ ხშირად იყურებოდა, საიდანაც მეუღლე მისთვის გამამხნევებელ ღიმილს არ იშურებდა. საგანგაშო ზარმა მესამე სეტის დასაწყისში ჩამორეკა, როდესაც მსაჯების რამდენიმე საეჭვო გადაწყვეტილებით გამწარებულმა ესპანელმა თავისი ფენომენალური ხელუკულმა ფორჰენდი აამუშავა და მანამდე აუღელვებელ ანდრეს ზედიზედ ორი მოწოდება აართვა. აქედან მოყოლებული როლები შეიცვალა, ტანდაბალი ესპანელი დაუღლელად მოძრაობდა კორტზე და ფიზიკურად ნაკლებად მზად ამერიკელსაც აქეთიქით დაარბენინებდა. აგასის გაჭირვების პირველი ნიშნები დაეტყო, ხანგრძლივ გათამაშებებს ველარ უძლებდა და ფონს გასვლას შემოკლებულებითა და ზუსტი აბრაგანებით ცდილობდა. ლოჟაში მსხდომ ბრუკ შილდსსა და ანდრეს მწვრთნელს — ბრედ გილბერტს კი სახეები დაუმძარდათ. მეოთხე სეტში ესპანელმა 2:3-დან ზედიზედ ოთხი გეიმი რომ მოიგო და ანგარიში გაათანაბრა, ოფლში გაღვრილ ანდრეს სახეზე დაეტყო, დიდხანს ველარ გაატანდა. ფრთაშესხმულმა ესპანელმა მატჩის მეორე ნახევარში პირველი მოწოდების 94 პროცენტი (!) ჩააგდო, მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო მიმღებს მეტოქის ჩაწოდების აღება საოცნებოდ გაუხადა და კორტის მარცხენა კიდიდან აუღებელი, უძლიერესი დარტყმებით გაოცებული, რაფტერის ძლევით განაწყენებული ავსტრალიელები თავის მხარეზე გადაიბირა. აგასიმ კი საკუთარი თავი თავად დაიღუპა, მატჩის ერთადერთი ორმაგი შეცდომა მაინცდამაინც მეხუთე ხელის შუაში, ბრეიკ-პოინტზე დაუშვა და მდგომარეობის გამოსწორება ველარც მოახერხა 6:3, 6:3, 2:6, 3:6, 3:6.

ამრიგად, მეოთხედფინალებში ერთმანეთს შეხვდებიან: პიტ სამპრასი — კაროლ კუჩერა, იონას ბიორკმანი — პეტერ კორდა, ნიკოლა ესკუდე — ნიკოლას კიფერი, მარსელო რიოსი — ალბერტო ბერასატეგი.

**ქალები. მერვედფინალი: მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) — იაუკ ბაზუკი (ინდონეზია) 6:0, 6:0; მარი პირსი (5, საფრანგეთი) — ჰენრიეტა ნაგიოვა (სლოვაკეთი) 6:0, 6:0; ანკე ჰუბერი (10, გერმანია) — ამანდა კუტცერი (3, სამხრეთ აფრიკა) 2:6, 6:4, 7:5; არანჩა სანჩეს-ვიკარიო (7, ესპანეთი) — აი სუგიამა (16, ესპანეთი) 6:2, 6:4; კონჩიტა მარტინესი (8, ესპანეთი) — ბარბარა შეტი (ავსტრია) 6:3, 6:3; სანდრინ ტესტიუ (9, საფრანგეთი) — ტამარინე ტანასუგარნი (ტაილანდი) 3:6, 6:1, 6:2.**

მეოთხედფინალში ერთმანეთთან შეხვედრის წინ შარშანდელმა ფინალისტებმა მარტინა ჰინგისმა და მარი პირსმა მსუბუქი მოთელვები ჩაატარეს. მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა, პირველად კარიერაში, მშრალზე მოიგო მატჩი — მისი მსხვერპლი წლევანდელი ტურნირისთვის სარეკორდოდ მცირე დროში — 38 წუთში ინდონეზიელი იაუკ ბაზუკი შეიქნა. მარტინამ კი მატჩის შემდეგ იხუმრა, მეწყინა, შეხვედრა პირველ კორტზე რომ ჩამატარებინეს და თამაშის სწრაფად მოთავება მინდოდაო. თავად ჰინგისმა 0:6, 0:6 კარიერაში ერთხელ წააგო თავის მომდევნო მეტოქე მარი პირსთან, რომელმაც 1995-ში 14 წლის მეტოქე ორმოც წუთში გაანადგურა. ფრანგმა არც ამჯერად დაინდო მოწინააღმდეგე და მერვედფინალში სლოვაკი ჰენრიეტა ნაგიოვა დატოვა ნოლზე, მატჩის მერე კი განაცხადა, ასეთ ფორმაში არასდროს ვყოფილვარო. ფინალისკენ მსვლელობა ესპანელებმაც გააგრძელეს — მეშვიდედ განთესილმა არანჩა სანჩეს-ვიკარიომ იაპონელ აი სუგიამას აჯობა, მერვემ — კონჩიტა მარტინესმა კი ავსტრიელ ბარბარა შეტს. დიდი ბრძოლა გაიმართა ანკე ჰუბერსა და ჩია ამანდა კუტცერს შორის. სამხრეთაფრიკელმა პირველ სეტში იმარჯვა, მერე მეორეშიც და მესამეშიც 4:1-ს იგებდა, მაგრამ ჰუბერმა რთული სიტუაციიდან ორჯერვე მოახერხა თავის დაძვრენა, ტანდაბალი მეტოქე მაღალი, მოჭრილი დარტყმებით დაბნია და 2 საათსა და 20 წუთში 2:6, 6:4, 7:5 მოიგო. მეოთხედფინალში გავიდა ფრანგი სანდრინ ტესტიუც, რომელმაც მტკივანი ფეხის მიუხედავად ტაილანდელი ტამარინე ტანასუგარნი დაამარცხა.



მარი პირსი

მეოთხედფინალებში მეტოქეები ასე დაწყვილდნენ: მარი პირსი — მარტინა ჰინგისი, ლინდსი დევენპორტი — ვინუს უილიამსი, კონჩიტა მარტინესი — სანდრინ ტესტიუ, არანჩა სანჩეს-ვიკარიო — ანკე ჰუბერი.

**ავთანდილ სვანიძე**



**ჯორდან გრან პრი**

გუნდის მფლობელი ედი ჯორდანი
კონსტრუქტორი გერი ანდერსონი
დებიუტი ფორმულა 1-ში: 1991, აშშ-ის დიდი პრიზი
114 რბოლა, 1 პოული, 1 სწრაფი წრე, 109 ქულა
შასი: ჯორდან 198
ძრავი: მუგენ ჰონდა MF301HC, V-10
საბურავები: გუდიარი

# სწრაფი რალფი ძმას ემუქრება

**დეიმონ ჰილი (ბრიტანეთი)**



დაიბადა 1960 წლის 17 სექტემბერს ჰემპსტედში, ინგლისი
სიმაღლე 183 სმ, წონა 73 კგ
დებიუტი ფორმულა 1-ში, 1992, ბრიტანეთის დიდი პრიზი, „ბრებჰემი". 84 რბოლა, 21 გამარჯვება, 20 პოული, 19 სწრაფი წრე, 333 ქულა
1996 წლის მსოფლიოს ჩემპიონი

**რალფ შუმახერი (გერმანია)**



დაიბადა 1975 წლის 30 ივნისს ჰიურტ-ჰერმიულჰაიმში (გერმანია)
სიმაღლე 179 სმ, წონა 74 კგ
დებიუტი ფორმულა 1-ში: 1997, ავსტრალიის დიდი პრიზი, „ჯორდანი"
17 რბოლა, 12 ქულა

ედი ჯორდანმა თავისი გუნდის პრეზენტაცია ლონდონის „როიალ ალბერტ ჰოლში" მოაწყო და დამსწრეთ წარუდგინა ოქროსფერი ბოლიდი, რომელზეც შარშანდელი რეპტილიის გამოსახულება კრაზანისამ შეცვალა (ირლანდიელები ალბათ ასე ცდილობენ მეტოქეთა დაშინებას). ამას გარდა, გუნდს კიდევ ერთი სპონსორი გამოუჩნდა — სადაზღვევო კომპანია „პერლი", და მისი ემბლემაც დაამშვენებს ბოლიდის სარკეებსა და პილოტთა ქამრებს.

ახალი ბოლიდი ისევ გერი ანდერსონის ქმნილება გახლავთ, თუმცა განსხვავებული სტრუქტურა აქვს, რაც ახალი მოთხოვნილებებითაა განპირობებული. კონსტრუქტორებს მოუხდათ შასის ყველა კომპონენტის დეტალური რევიზია, არაერთი რამის შეცვლა. წინა მოდელისგან განსხვავებით, დამონტაჟებულია საკუთარი წარმოების ახალი 6-საფეხურიანი გადაცემათა კოლოფი — „მუგენ-ჰონდას" ძრავი ხომ მეშვიდე საფეხურს არც საჭიროებს. ახალ მოდელზე მუშაობა 1997 წლის ივლისში დაიწყო, ხოლო „მუგენ-ჰონდასთან" ხელშეკრულების გაფორმე-



ირლანდიური კრაზანა — „ჯორდან-198"

ძრავის მახასიათებლები, მუშაობა მეტი ინტენსიობით გაგრძელდა. გუნდში დეიმონ ჰილის მისვლამ კი საჭირო გახადა, სატერფულები მისი სიმაღლის შესაბამისად დაემონტაჟებინათ. ინჟინრებმა ყოველივე ამას მშვენივრად გაართვეს თავი და მოდელმა გუნდის ბაზიდან „სილვერსტოუნიდან" 5 მილზე მდებარე საკუთარ აეროდინამიკურ გვირაბში გადაინაცვლა. სპეციალისტებმა ბოლიდის აეროდინამიკის დახვეწაზე იწყეს ფიქრი, ტრასაზე პირველი ტესტების შემდეგ კი თავჩენილი პრობლემების აღმოფხვრას შეუდგნენ. შეიცვალა შეკიდულობა და სხვა წვრილმანი დეტალები, რათა თვლებზე და საბურავებზე დატვირთვა ოპტიმალური ყოფილიყო.

ედი ჯორდანი იმედიანად უყურებს ახალ სეზონს, ამის საფუძველს ბოლო წლებში გუნდის სტაბილურობა და პილოტთა კლასიც აძლევს. როგორც იქნა, მის გუნდშიც გამოჩნდა ტოპ-პილოტი დეიმონ ჰილი.

ისე კი, აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ ირლანდიელი არასდროს შემცდარა პილოტების შერჩევაში, მის მიერ მიწვეულ ახალგაზრდებზე არაერთ საჯინიბოს დაუდგამს თვალი. წლევანდელ ჩემპიონატში 8 პილოტი მონაწილეობს, რომლებიც სხვადასხვა დროს იცავდნენ „ჯორდანის" ღირსებას. პრეზენტაციისას ჯორდანმა აღნიშნა, რომ მის გუნდში არ არიან პირველი და მეორე პილოტები, ორივე სპორტსმენს შეუძლია თავისი შესაძლებლობების გამოვლენა და გაიმარჯვებს უძლიერესი. თუმცა ასპარეზობაში გუნდი მონაწილეობს და ხელმძღვანელობაც მხარს დაუჭერს მრბოლს, რომლის პოზიციაც უკეთესი იქნება გუნდის მიზნების მისაღწევად.

მსოფლიოს 1976 წლის ჩემპიონმა ჰილმა კი განაცხადა: „რეალისტები უნდა ვიყოთ. ჩვენთვის ძნელი იქნება ჩემპიონობისთვის ბრძოლა, მაგრამ რბოლების მოგება შეგვიძლია. ჩემი მიზანია, პირველი გამარჯვება მოვუტანო „ჯორდან გრან პრის" და მონაწილეობა მივიღო იმ გუნდის შექმნაში, რომელიც ჩემპიონობისთვის იბრძოლებს". დეიმონი მეტად კმაყოფილია ახალ პარტნიორთან ურთიერთობით და მას ასე ახასიათებს: „რალფი სწრაფია და ჯერ კიდევ სწავლობს. ამასთან, მას ყველაზე მეტად უნდა ძმის დამარცხება, ეს დიდი სტიმულია მისთვის და ჩვენს მიზნებსაც აერთიანებს".

პირველი ტესტების შემდეგ კი მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა თქვა, რომ ახლა მისთვის ნათელია, რას უნდა ელოდეს ახალი ბოლიდისგან. „ძრავის საიმედო კონდიციამდე გაუმჯობესების შემდეგ მის დახვეწაზე ვიზრუნებთ და მისგან ძალიან ბევრია მოსალოდნელი ახალ სეზონში".

ერთი სიტყვით, ირლანდიელები მეტოქეთა გასამწარებლად და უძლიერესთა შორის მოსახვედრად ემზადებიან, რაც უთუოდ მეტად ძნელი იქნება. თუმცა ჰილის მაღალი კლასი და გამოცდილება, ალბათ, თავის სიტყვას იტყვის ბოლიდის სათანადოდ მომზადებაში, ხოლო 50-მილიონიანი ბიუჯეტი ხარვეზების დროულად აღმოფხვრის, სიახლეთა სწრაფად გამოცდისა და დანერგვის საშუალებას იძლევა. ყოველივე ამან კი წარმატებაც უნდა მოიტანოს.

**ალეკო ბაგუძიანი**

# ჩემპიონებსაც აჯარიმებენ

ნაიჯელ მენსელს, ბრიტანეთის სიამაყეს, ექვსი თვით აუკრძალეს ავტომობილის მართვა. მიზეზი სიჩქარის გადაჭარბება გახლავთ.

ნაიჯელმა, რომელსაც, როგორც ჩანს, მონატრებია ჩქაროსნული ტრასები, გზატკეცილზე, სადაც 110 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობაა ნებადართული, 145 კმ/სთ-ით გაიქროლა და პოლიციელთა ხელში აღმოჩნდა. არადა, თავად მშობლიურ კუნძულ მენის საპატიო პოლიციელი გახლავთ. მსოფლიოს ექს-ჩემპიონს სხვა რაღა დარჩენოდა, ბოდიშის მოხდის გარდა, მისმა ადვოკატმა კი განაცხადა, მანქანამ მენსელისთვის შეუმჩნევლად გადააჭარბა სიჩქარესო.

## მთის თხილამურობის მსოფლიო თასი

# კიცბიუელს, შჰერმანოდა



ვაქ მოთხილამურეთა ცირკი ალპურ მექაში, ტიროლის ფეშენებელურ კურორტ კიცბიუელშია. იქაური ჰანენკამის მთის ფერდებზე შეჯიბრი 1930-იანი წლებიდან იმართება და ამინდიც მეტწილად წყალობს: მსოფლიო თასის ეტაპები იქ ოდენ 1988 და 1993 წლებში ჩაშლილა.

წელს კიცბიუელში თოვლი ცოტა რომ იდო, მასპინძლებმა ქალთა სტარტები ალტენმარკტს (ავსტრია) მიათხოვეს, ვაჟთათვის კი საგანგებოდ მოზიდეს თოვლი. მერე გაირკვა, რომ ტიროლელები ტყუილად გარჯილან: ოთხშაბათს ისე ხვავრიელად მოვიდა ნალექი, რომ დაშვების წინა პირველი ვარჯიში ჩაიშალა, ხუთშაბათს კი 7 ავსტრიელი მოხვდა მოწინავე ცხრეულში. საუკეთესო დრო ვეტერან პატრიკ ორტლიბს ქონდა.

კიცბიუელი ცნობილი საშოვარი ადგილია. უიკ-ენდის საპრიზო ფონდი წელს 300 ათასი დოლარი იყო. შაბათის კლასიკური დაშვებისა და კვირის სლალომის გამარჯვებულებს თითოს 40 ათასი ერგო. ამოტოლა ჯილდო მსოფლიო თასზე სხვაგან არსადაა დაწესებული.

ამანაც ვერ აცდუნა სეზონის სენსაცია, 25 წლის „ჰერმინატორი" მაიერი. ეს ექს-კალატოზი იმდენად დაწინაურდა ქულათა ცხრილში და ნაგანოს ოლიმპიადის მოგებაც იმდენადა სურს, რომ მაინცდამაინც შინ ასპარეზობის დროს მოუნდა დასვენება. ერთი კია, მიზეზი საპატიო აქვს — გადაღლის გამო ორივე კოჭის ანთება დამართნია და თუ თავს დროზე არ მიხედა, ოლიმპიადაზე ალარაფერი ესაქმება.

მაიერის შატალომ შაბათის „დაშვებათა დაშვებას" ხიბლი მაინც ვერ მოაკლო. შეიკრიბა ზეპური საზოგადოება. ფორმულა-1-ის ძველი და ახლანდელი გრანდები — ექლსტოუნი, ვილნევი, ბერგერი და პიკეც იქ იყვნენ. მათი საქველმოქმედო სრიალის ამონაგები გაჭირვებულ ავსტრიელ ფერმერებს მოხმარდა.

პარასკევს ორ-ცდიანი, სპრინტ-დაშვება გაიმართა. II ცდაზე მოწინავე 30-ეული შებრუნებული რიგით დაეშვა. მაინც გაიმარჯვა უცნობმა კიუშემ, ვინც შაბათის კლასიკურ დაშვებაშიც დაამტკიცა, რომ წინადლით კარიერის პირველი გამარჯვება შემთხვევით არ მოუპოვებია.

„შტრაიფი" ხიფათიანი ტრასაა. პარასკევს ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა. II ცდის შუაწელში წონასწორობა დაკარგა 24 წლის ავსტრიელმა როლანდ ასინგერმა და 120 კმ/სთ-ით შეეჯახა დამცავ ბადეებს. ბიჭს ხელი გაექრა და მხარი ელრძო. იგი საკაცეს დააკრეს და ჰოსპიტალში შვეულმფრენით გადაიყვანეს.

თოვლი თავიდან ცოტა რომ იყო, ტრასის პროფილი ოდნავ შეიცვალა: მისი საფინიშო მონაკვეთის დახრილობა შემცირდა. ამან ნაჩვევი მასპინძლები აზარალა, თორემ იტალიელმა სტუმარმა, ვეტერანმა გედინამ სწორედ რომ ბოლოს იმარჯვა. იხეირა უნივერსალმა ნორვეგიელმა ომოდტმაც, ვინაც კომბინაციაში პირველობით 100 ქულა შემატა სხვაფრივ მწირ მონაგარს. ეს სახეობა უკვე იმდენად არაპოპულარულია და მოთხილამურეთა სპეციალიზაციაც იმდენად თვალში საცემი, რომ დაშვებაშიცა და სლალომშიც მონაწილეობის მსურველი კიცბიუელში ოდენ შვიდი მოგროვდა.

ასინგერის ფათერაკის გამო შეჯიბრი კარგა ხნით შეწყდა, შაბათს, ტრასაზე ნისლის ჩამოწოლის გამო კი საერთოდ ვერ დასრულდა: ბოლო 16 მონაწილეს სტარტი ვერ ეღირსა, მაგრამ რაკი მოასპარეზეთა 60 პროცენტმა მოასწრო დაშვება, შედეგები დამტკიცდა.

სლალომი, ისევე როგორც 1994 წელს, მოიგო შტანგასინგერმა. მერე კაცი ლილეჰამერის ოლიმპიადის ჩემპიონი გახდა. ახლაც ისტორიის გამეორების იმედი ქონია.

> გუშინ, კიცბიუელშივე, ვაჟთა კიდევ ერთ სლალომში გაიმარჯვა სიკორამ. მეორე ადგილი ბურაასმა დაიჭირა, მესამე — შტანგასინგერმა.

კვლავ მარცხი შეემთხვა „ლა ბომბა" ტომბას. ნაახალწლევს 31 წლის შოუმენს კვირის სლალომებში მესამედ ერგო პირველი სასტარტო ნომერი, მაგრამ ფინიშს მესამედაც ვერ უწია. კარის გამორჩენა ალბერტომ ამჯერად იმას დააბრალა, რომ მოთილდევისას კანჭმა თხილამური გაუკაწრა. [illegible] კარიერის 50-ე გამარჯვება ტომბას კვლავ გაუსხლტა ხელიდან.

ქალებმა ამასობაში იტალიაში იასპარეზეს. პარასკევის კურიოზული სუპერ-გიგანტის შემდეგ შაბათს ყველაფერი კალაპოტში ჩადგა. დამაჯერებლად გაიმარჯვა 25 წლის გერმანელმა ზაიცინგერმა, ვინაც ნოემბერ-დეკემბერში სამ-სამი დაშვება და სუპერ-გიგანტი მოიგო, ნაახალწლევს კი თანდათან აუარესებდა შედეგს.

მაგრად დაიმტვრა 30 წლის გერმანელი ანიტა ვახტერი, ვინაც მსოფლიო თასზე მე-13 წელია ასპარეზობს და აბსოლუტური გამარჯვებულიც კი ყოფილა 1993 წელს. მუხლ და ბეჭმოტეხილ ვეტერანს სარეცელზეც არ უთქვამს, ახლა კი მაინც დავანებებ თავს სრიალსო; მხოლოდ დაიჩივლა, რამდენიმე უილბლო წამს მთელი სეზონის დასამარება შეძლებიაო.

კვირას კვლავ დამარცხდა გიგანტურ სლალომში ერთი წლის მანძილზე უძლეველი კომპანიონი. არათუ დამარცხდა, კვარცხლბეკზეც ვერ მოხვდა, თუმცა II ცდაზე მეორე დრო გაახერხა. იგი მეორედ ძლია 24 წლის უნივერსალმა ერტლმა, ვისთვისაც ეს გამარჯვება კარიერაში მეათე იყო. რაც შეეხება ზაიცინგერს, მის აქტივში უკვე 35 პირველობაა და ეს რიცხვი უთუოდ კიდევ გაიზრდება.

**ირაკლი ნინუა**

### ვაჟები

**კიცბიუელი (ავსტრია). „შტრაიფი"**

23.01. სპრინტ-დაშვება: 1. დიდიე კიუშე (შვეიცარია); 2. ნიკოლა ბურტენი (საფრანგეთი) ჩამორჩა წამის 14 მეასედით; 3. ჟან-ლიუკ კრეტიე (საფრ) 32; 4-5. იერგ გრუნენფელდერი (შვეიც) და ადრიან დიუვიარი (საფრ) 49; 6. ანდრეას შიფერერი (ავსტრია) 61; ... 8-9. კრისტიან გედინა (იტალია) 75 ...

24.01. კლასიკური დაშვება: 1. გედინა; 2. კიუშე 14; 3. იოზეფ შტრობლი (ავს) 36; 4. ხეტილ-ანდრე ომოდტი (ნორვეგია) 52; 5. ჰანს კნაუსი (ავს) 60; 6-7. კრეტიე და ჰანეს ტრინკლი (ავს) 72; ... 9. შიფერერი 75

სეზონის 8 დაშვების ჯამი: შიფერერი 531 ქულა; ჰერმან მაიერი (ავს) 419; გედინა 323; კრეტიე 312; კიუშე 292; შტეფან ებერჰარტერი (ავს) 290; ვერნერ ფრანცი (ავს) 262; ბურტენი 257

25.01. სლალომი: 1. თომას შტანგასინგერი (ავს); 2. თომას სიკორა (ავს) 08; 3. ოლე-კრისტიან ფურუსეთი (ნორვ) 74; 4. ჰანს-პეტერ ბურაასი (ნორვ) 74; 5. ანდრეი მიკლავცი (სლოვენია) 86; 6. ალოიზ ფოგლი (გერ) 96; ... 25. ომოდტი 423

სეზონის 6 სლალომის ჯამი: შტანგასინგერი 383 ქულა; სიკორა 340; ბურაასი 260; კიმინობუ კიმურა (იაპონია) 197; ფინ-კრისტიან იაგე (ნორვ) 189; ფურუსეთი 170

კომბინაცია (შაბათის დაშვებისა და კვირის სლალომის ჯამი): 1. ომოდტი; 2. ფრანცი 261; 3. ედ პოდივინსკი (კანადა) 372

სეზონის 27 ეტაპის ჯამი: ჰ. მაიერი 1 405 ქულა; შიფერერი 853; ებერჰარტერი 811; ომოდტი 630; მიხაელ ფონგრენიგენი (შვეიც) 555; კნაუსი 547; ფრანცი 458; კრისტიან მაიერი (ავს) 430; კიუშე 423; გედინა 408; შტანგასინგერი 405; ი. შტრობლი 370; პაულ აკოლა (შვეიც) 369; ალბერტო ტომბა (იტ) 366; ლასე ხიუსი (ნორვ) 354; სიკორა 340


მშენებლობა დიზაინი რეკლამა

აკაცია Acacia

ჰორიზონტალური და ვერტიკალური ჟალუზები
დამცავი ჟალუზები
მარკიზები

ფასები გაგაკვირვებთ

ყაზბეგის 42 ტელ 375281 294840

e-mail dato@acacia.postnet.ge


### ქალები

**კორტინა-დამპეცო (იტალია). „ტოფანე"**

24.01. სუპერ-გიგანტი: 1. კატია ზაიცინგერი (გერმანია); 2. რენატე გეჩლი (ავსტრია) ჩამორჩა წამის 55 მეასედით; 3. იზოლდე კოსტნერი (იტალია) 56; 4. კორინ რეი-ბელე (შვეიცარია) 61; 5. მარტინა ერტლი (გერ) 74; 6. მელანი სიუშე (საფრანგეთი) 91

სეზონის 6 სუპერ-გიგანტის ჯამი: ზაიცინგერი 445 ქულა; გეჩლი 305; კოსტნერი 266; ერტლი 259; სიუშე 228

25.01. გიგანტური სლალომი: 1. ერტლი; 2. ზაიცინგერი 155; 3. სოფი ლეფრანკ-დიუვიარი (საფრ) 202; 4. ანდრინ ფლემენი (ნორვ) 222; 5. დებორა კომპანიონი (იტ) 239

სეზონის 6 გიგანტურის ჯამი: კომპანიონი 505 ქულა; ერტლი 411; ალექსანდა მაისნიცერი (ავს) 305; ფლემენი 264; ზაიცინგერი 255

სეზონის 26 ეტაპის ჯამი: ზაიცინგერი 1 424 ქულა; ჰილდე გერგი (გერ) 1 009; ერტლი 996; კომპანიონი 826; მაისნიცერი 728; გეჩლი 671; იულვა ნოვენი (შვედეთი) 662; კოსტნერი 641; ჰაიდი ცურბრიგენი (შვეიც) 471; სიუშე 425

### ერთა თასი

ავსტრია 10 582 ქულა; იტალია 4 734; გერმანია 4 713; შვეიცარია 4 282; საფრანგეთი 3 879; ნორვეგია 2 745

## რაგბი

# ძლიერდებიან!

მძლეთა-მძლე „ოლ ბლეკსს" წელს ოდენ 7 ტესტი ელის, მაგრამ სულ ნარჩევ მეტოქეებთან. ახალზელანდიელები სამჯერ ეთამაშებიან ავსტრალიას, ორორჯერ სამხრეთ აფრიკასა და ინგლისს.

„ოლ ბლექსის" პირველი შეკრება პროვინციულ ქალაქ ტაუპოში 2-5 თებერვალს გაიმართება. მწვრთნელმა ჯონ ჰარტმა იქ დასამოძღვრად და გასავარჯიშებლად 39 კაცი იხმო. შარშანდელი თხუთმეტეულიდან გუნდში აღარაა მხოლოდ დიდი 8 ნომერი ზინზან ბრუკი, ვინაც ნაკრებს თავს ანებებს და ამიერიდან ინგლისის საკლუბო პირველობაზეღა ითამაშებს.

სიაში ისევ წერია ბებერი კვაჭი და კაპიტანი შონ ფიტსპატრიკი. მას მუხლი კვლავაც ისე აწუხებს, რომ სამხრეთი ნახევარსფეროს რეგიონული პირველობა ზუ-12-ის მეტ წილს ალბათ გამოტოვებს. შარშან მუხლი საზარლად დაიშავა ლეგენდარულმა ფლანკერმა მაიკლ ჯოუნზმაც, მაგრამ ახლა იმდენად მოკეთებულა, რომ ჰარტმა ნაკრებში დააბრუნა.

სატესტო უქმობის სამწლიანი ვადა გაუვიდათ ფიჯელ გარემარბ ჯოელი ვიდირის და სამოელ ფლანკერ დაილან მიკას. ირბის წესებით მათ წელს უკვე შეეძლებათ ზელანდიის სახელით ასპარეზობა.

და მაინც, ნაკრებში ხმობილთაგან ყველაზე გამორჩეული 28 წლის შუამარბი კრეგ ინესია, ვინაც 1989-91 წლებში „ოლ ბლეკსის" 17 კეპი მოიხვეჭა. მერე ეს მობურთალი გადავიდა 13-კაცა ლიგაში, სადაც ჯერ ინგლისის „ლიდსში" თამაშობდა, ბოლო წლები კი სიდნეის უბობოლეს კლუბ „მენლიში" გაატარა.

ინესს რაგბში დაბრუნება გადაუწყვეტია. „მენლიც" ყაბულსაა. კლუბმა ბიჭს კონტრაქტის ბოლომდე გაუნაღდებლობა აპატია. რაც უნდა იყოს, შვიდი წელი უცხოეთში დახეტიალობს, შინ, ოკლენდში კი სატრფო ელოდებაო.

კრეგმა ახალი ზელანდიის რაგბის კავშირთან დადო ოთხწლიანი კონტრაქტი, ზუ-12-ში კი „ოკლენდ ბლუზში" ითამაშებს. ჰარტს ბიჭი მსოფლიო ლიგის უძლიერეს შუამარბად რომ მიაჩნია, ნაკრებშიც ამად უხმია. ბრძენი სპეციალისტის აზრით, ტაუპოს შეკრება ნალიგარს რაგბის გახსენებაში დაეხმარება.

# იტალიამ ნდობა გაამართლა

ერთი კვირა შესრულდა წმიდათაწმიდა „ხუთი ერის პირველობაზე" იტალიელთა დაშვებიდან და ლათინებმაც მორიგი ბრიტანული გუნდი დაამამათეს.

არა, წლევანდელი პირველობა ჯერ არ დაწყებულა. იტალიასაც კიდევ ორი წელი მოუწევს ლოდინი, მაგრამ შაბათს აქამდე სამგზის ძლეული ირლანდიის სკალპს შოტლანდიისაც რომ მიუმატა, რეპეტიცია წარმატებული გამოუვიდა. 2000 წელს, როცა „ხუთი ერი" ოფიციალურად იქცევა „ექვს ერად", იტალიას პირველი მატჩის გამართვა მოუწევს სწორედ რომ სკოტებთან, ოღონდ არა აპენინების ჩრდილო-აღმოსავლეთ სარაგბო ცენტრ ტრევიზოში, არამედ შოტლანდიური რაგბის ტაძარ მარიფილდში.



გამარჯვების ლელო 9 ნომერ ალესანდრო ტრონკონის გრძელი პასით გავიდა

როიტერი ტრევიზოდან

ბრიტები კარგა ხანს ითრევდნენ ფეხს და იტალიას თავიანთ წრეში არ რევდნენ. ლათინთა აღიარების რატიფიკაცია ინგლისის რაგბის კავშირს კიდევ მოუწევს, მაგრამ კონსერვატორ მამებს ახალბედათა ღირსების გამო თუკი რამ ეჭვი კიდევ რჩებოდათ, ამ შაბათის მერე უნდა გაეფანტოთ. სკოტებმა ხომ საუკეთესო შემადგენლობას მოუყარეს თავი: კაპიტანი რობ ვეინრაიტი ძველებურად უძლვებოდა გუნდს, 9 ნომრად სტუმრებს გარი არმსტრონგი აღედგინათ, შუა ბეკთა სამეულში კი სამ ზე-ვარსკვლავს: გრეგორ ტაუნზენდს, ნალიგარ ალენ ტეიტსა და კრეგ ჩალმერსს მოეყარა თავი. სამაგიეროდ, იტალიას აკლდნენ ბებერი შუამარბი ივან ფრანჩესკატო და ორივე ძირითადი ბურჯი: მასიმო კუტიტა და ფრანკო პროპერცი-კურტი.

შოტლანდიამ შესვენებამდე იყოჩაღა — მარჯვედ გამოიყენა იტალიელთა შეცდომები. თამაში 22-ე წუთზელა გახურდა. იტალია სტუმართა ლელოს მიეძალა, მაგრამ ნორჩი 15 ნომერი კორადო პილატი განდაგან წავიდა და ბურთი უხეიროდ მოისროლა. იგი აიტაცა სკოტთა ფულბეკმა როუვან შეპარდმა და კიდეზე 80 მეტრი ირბინა 3:8.

29-ე წუთზე წაიტუტუცა არგენტინაში გაზრდილმა დიეგო დომინგესმა, ვინაც ამ დღეს 20 ქულაც მოიხვეჭა და საკარიერო მონაგარი 576-ს უსწორა. მას გადაცემა ტეიტმა ჩაუჭრა 6:15, მაგრამ განახლდა თამაში შესვენების შემდეგ და იტალია თანდათან მოერია სახელოვან მეტოქეს.

45-ე წუთზე პილატი ლელოსთან უწესოდ დასცეს, მაგრამ უელსელმა მსაჯმა ამაზე თვალი დახუჭა. მერე დომინგესს გაუცუდდა თითო საჯარიმო და არეკნი. და მაინც, ბოლო ათი წუთის წინ ანგარიში 15:21 იყო და ლათინებსაც ისე გაეტეხათ კელტები, თითქო ჩვენი წელთაღრიცხვის გარიჟრაჟიაო.

იტალიამ მეტოქის ლელოს ხუთი წუთი უტრიალა. 74-ე წუთზე 9 ნომერმა ალესანდრო ტრონკონმა ახლოდან უწია მიზანს და ტაბლოზეც უმალ 20:21 დაიწერა, მაგრამ მსაჯმა ლელო არ ჩათვალა, რასაც კინაღამ სტადიონზე შეკრებილთა ამბოხი მოყვა.

სამართალმა პური მაინც ჭამა: 77-ე წუთზე ტრონკონმა შორს მიაწოდა ბურთი გარემარბ პაოლო ვაკარის, ვინაც ფინტით დაიფრინა ჩალმერსი (!), ტაუნზენდის (!) ბოჭვასაც დაუსხლტა და მე-20 ტესტ-ლელო გაიტანა. ლელო გარდასახა დომინგესმა, მერე კი წამატებულ დროში საჯარიმოც ჩაროზად დააყოლა.

**ნიკო ვეფხვაძე**

24.01. ტრევიზო. სტადიო მონიგო. 9 ათასი მოსეირე

**იტალია 25:21 შოტლანდია**

(9:18). მსაჯი დევისი (უელსი)

იტალია: პილატი; ვაკარი, სტოიკა, მარტინი, კუტიტა; დომინგესი, ტრონკონი — დეკარლი, ორლანდი, კასტელანი; კროჩი, კრისტოფოლეტო; ჯოვანელი ჰპპ, ზგორლონი (არანჩო), გარდნერი. — ლ: ვაკარი; გ და 6ს: დომინგესი

შოტლანდია: შეპარდი; სტეინჯერი, ტეიტი, ჩალმერსი, ჯოინერი; ტაუნზენდი, არმსტრონგი — პილტონი, ბულოკი, სტიუარტი; ვეარი, მარი; ვეინრაიტი ჰპპ, ჰოლმზი, როკსბრო. — 2ლ: შეპარდი, ტეიტი; გ და 3ს: შეპარდი


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის
ორშაბათობით, სამშაბათობით,
ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია
რედაქტორი
თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი
გურამ ხელაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
ზურაბ მეძველია
ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი
სხვა სახეობათა განყოფილება:
გიო აზვლედიანი, ილია მზეიძე, ავთანდილ სვანიძე, ლევან ჯავახიშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი ლონდონში
დავით მჭედლიშვილი
ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე
სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, მარიკა ტაბიძე, ლევან ჩხეიძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29